მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 8. კვირა, 6 მარტი 1905 წლისა. № 8.

ამ ნომერთან ერთათ ხელის მომწერთ ეგზავნებათ ცალკე დამატება შემდეგი სათაურით: „გურიის ამბები“.

თფილისის ქალაქის მოურავი ამით აცხადებს, რომ შემოწირულებანი ბაქოში 5—11 თებერვალს დაზარალებულთა სასარგებლოთ (განურჩევლათ ეროვნებისა და წოდებისა) მიიღება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დან 3 საათამდე.

(3—3) ქალაქის მოურავი ქ. ვერმიშევი.

შინაარსი: რა გამოირკვა? ფ. მახარაძისა.—ოფიციალური ცნობები და მთავრობის განკარგულება.—ომის ამბები.—სხვადასხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ქრონიკა.—საერო თუ დამფუძნებელი კრება? ნ. ელიავასი.—ქუჩაზე, ლექსი ვ. რუხაძისა.—ფელეტონის მაგიერი, თაგუნასი.—მუშათა კავშირები, ა. წულუკიძისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—კლასობრივი წინააღმდეგობა ჩვენში და ევროპაში, გ. ჭ-ისა.—1904 წ. 7 ივნისის კანონის გამო.—საზოგადოებრივ-ისტორიული წერილები, თარ. ლ. ელიავასი.

რა გამოირკვა?

ორი კვირა იქნება, რაც ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი გურიაში გაემგზავრა, გურიის დღევანდელი ვითარების გამოსარკვევათ, გურიის ხალხის დღევანდელ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა გამოსაკვლევათ. ბ-ნმა კრიმ-გირეიმ უკვე ინახულა გურიის რამდენიმე საზოგადოება, მოიწოდა სახალხო ყრილობები თითოეულ საზოგადოებაში და წინადადება მისცა ხალხს გულახდილათ და დაწვრილებით ეამბათ მისთვის ყველაფერი, რაც დღეს გურიის ხალხს აწუხებს, გაეგებინებიათ მისთვის გურიის დღევანდელი მოძრაობის და ხალხის მღელვარების ნამდვილი მიზეზები. ხალხი ყოველგან ნდობით მიეგებე ბ-ნ სულთან კრიმ-გირეის, იგი პატივისცემით ისმენდა მის მოწოდებას, და თავის მხრით ზრდილობიანათ და თანაც გულახდილათ და გაბედულათ თავისი დეპუტატების საშუალებით უხსნიდა მას თავისი აუტანელი მდგომარეობის მიზეზებს და უცხადებდა თავის მოთხოვნილებებს. ყველა საზოგადოებაში, ყველა ყრილობაზე ხალხი უცხადებდა ერთ და იმავე მოთხოვნილებებს, ასახელებდა ერთ და იმავე მიზეზებს დღევანდელი აუტანელი მდგომარეობისას. ეს პირველი შემთხვევაა ჩვენში, რომ მთავრობის წარმომადგენელი და ხალხი ერთიერთმანეთს წარუდგენ, როგორც სრული თანასწორნი, და არა როგორც ბატონი და მორჩილი, მბრძანებელი და ყურ-მოჭრილი აღმასრულებელი. რაც უნდა შედეგი მოყვეს ბ. კრიმ-გირეის მოგზაურობას გურიაში, ეს მოგზაურობა მაინც დაუვიწყარი დარჩება შთამომავლობისათვის და ოქროს ასოებით აღიბეჭდება ჩვენი ხალხის ისტორიაში.

ამიერიდან მთელმა ქვეყანამ გაიგო, თუ რა მოხდა და ან რა ხდება დღეს გურიაში, თუ რამდენათ მართალი არიან ისინი, ვინც გაიძახოდენ, რომ გურია აჯანყდა და გურულები „ბუნტოვჩიკები“ არიანო. იმის შემდეგ, რაც ბ-ნმა სულთან კრიმ-გირეიმ ნახა და გაიგო ის, რაც მეტი თუ ნაკლები სინამდვილით ადგილობრივ გაზეთებში იყო აღნიშნული, ამის ძახილი უკვე შეუძლებელია. აშკარათ დამტკიცდა, რომ ხალხი მიუყვანიათ უზომო გაჭირვებამდის, იგი შეუწუხებიათ ყოველი მხრით; მთავრობა მისთვის გადაქცეულა საშიშარ დაწესებულებათ, ჯალათების კრებულათ, რომელიც მხოლოთ სასტიკი ზომების ხმარებაზე თუ ფიქრობდა ხალხის წინააღმდეგ, თორემ სხვაზე აღარაფერზე. ხალხის თხოვნას ყურადღებას აღარავინ აქცევდა, საჩივარისთვის ხომ პირდაპირ სჯიდენ. ამ ყოფაში ჩავარდნილმა ხალხმა, რომელშიაც ადამიანობის გრძნობა არ გამქრალიყო, მოიკრიფა ძალა და შეუდგა თავისი თავის შველას, თავისი თავის პატრონობას. ხალხი არ აჯანყებულა მთავრობის წინააღმდეგ, იგი მხოლოთ ჩამოშორდა მას, და თავის საქმეების გაძღოლა თითონ იკისრა, რადგანაც დარწმუნდა, რომ მთავრობა მას არა თუ აღარ შველოდა, არამედ აწუხებდა და ტანჯავდა. აქაც გურულმა ხალხმა, რომელიც, ნუ დაივიწყებთ, ცნობილია როგორც მეტის მეტი გულფიცხი, გამოიჩინა სამაგალითო მოთმინება. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გურიის თავმოყვარე ხალხს არ დაკლებია არც საჯაროთ ლანძღვა-გინება, არც გამათრახება, არც ნაობახი, არც ციმბირში გაგზავნა, არც ეკზეკუციის ჩაყენება, და ვინ მოთელის კიდევ რამდენი შეურაცხყოფა და დამცირება. მაგრამ მათ ყოველივე ეს აიტანეს და ერთხელაც არ უცდია ძალმომრეობაზე ძალმომრეობითვე ეპასუხა. პირიქით, გურული ხალხი თითონ იღებდა ზომებს, რომ მთავრობისათვის მიზეზი არ მიეცა იარაღი ეხმარა ხალხის წინააღმდეგ. ასეთი შემთხვევა კი მოსალოდნელი იყო გაბოროტებული ადმინისტრაციის მოხელეების მხრით იმ მიზნით, რომ ხალხი გაეთელათ და შეესუსტებიათ, რათა შემდეგში ისევ ძველებურათ გაბატონებულიყვენ ხალხზე, ისევ ძველებურათ ეპარპაშათ. სად მოიპოვა გურულმა ხალხმა ამოდენი მოთმინება, ამოდენი ზნეობრივი ძალა, რომ ერთ და იმავე დროს ორკეც უკუღმართობას გაუძლო, და მით ფიზიკურათ თუ არა ზნეობრივათ მაინც დაამარცხა მის წინააღმდეგ მიმართული ბოროტი ძალა! აბის ახსნა არ შეიძლება მარტო მის გაჭირვებაში ვეძიოთ. განა სხვაგან ნაკლები გაჭირვებაა? განა სხვა ადგილას ნაკლებათ იტანჯება ხალხი? რასაკვირველია, არა. მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ გურულმა ხალხმა შეიგნო თავის დაბეჩავების და გაჭირვების მიზეზი, გაიგო, თუ საიდან მომდინარეობს სიღატაკე და სიბეჩავე. იგი მიხვდა, რომ ამის თავი და თავი მიზეზი დღევანდელი ბიუროკრატიული წესწყობილებაა, რომელიც ხალხზე აბატონებს მთავრობის ყოვლად უვიც მოხელეებს და რომელიც ყველაფერში მდიდრებს ესარჩლება და მომხრეობს. ამ უსამართლობის მოსასპობათ საჭიროა ბიუროკრატიული წესწყობილების მოსპობა, მაგრამ ამას ვერ შეძლებს მარტო გურიის ხალხი, ამას უნდა შეებრძოლოს ყველა, სადაც კი გაჭირვებული ხალხი ცხოვრობს. ამისთვის კი საჭიროა, რომ გაჭირვებული ხალხი ყველგან გონს მოვიდეს, კარგათ შეიგნოს, თუ რისთვის არის იგი გაჭირვებული და დაბეჩავებული.

გურული ხალხის ღრმა რწმენა, რომელიც ბ-ნ კრიმ-გირეის მოგზაურობის დროს გამოაშკარავდა და რომელიც ვერავითარი ფიზიკური ძალის საშვალებით ვერ აღმოიფხვრება მისი გულიდან, იმაში იხატება, რომ მისი აზრით სრულებით შეუძლებელია დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობიდან თავის დახწევა, თუ არ დამყარდა ადამიანის პიროვნების სრული ხელუხლებლობა და თუ იმავე დროს არ იქნა აღსარებული აზრის, სიტყვის, წერის, კრების, კავშირის და გაფიცვის სრული თავისუფლება. საიდან უნდა გავიგოთ ხალხის გასაჭირი, მისი ვითარება, თუ ამის შესახებ არ შეიძლება ლაპარაკი, წერა, მსჯელობა. ხალხმა განაცხადა, რომ ჩვენ წერა-კითხვა ვიცით, ვკითხულობთ კიდეც გაზეთებს და წიგნაკებს, სადაც სხვა ქვეყნების ამბები წერიაო, მაგრამ ჩვენ შესახებ, ჩვენ გაჭირვებაზე, იქ არაფერი ამოგვიკითხავს. ამავე დროს ჩვენ ხელში გვივარდება რაღაც ფურცლები, რომლებშიაც სწორეთ ჩვენი დაბეჩავებული ცხოვრების შესახებ წერია და ჩვენ იმას სიამოვნებით ვკითხულობთ, მაგრამ ამისთვის გვდევნიან და ნაობახშიაც გვაგდებენო! რატომ არის ეს ასე? რატომ ჩვენ გასაჭირზე ჩვენ თავასუფლათ არ შეგვიძლია ვწეროთ, ვილაპარაკოთ? ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ, რომ ჩვენ უფლება გვქონდეს თავისუფლათ ვწეროთ, კრებები მოვახდინოთ და მსჯელობა ვიქონიოთ ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათო. გურულმა გლეხებმა იმავე დროს განაცხადეს, რომ მარტო ჩვენ არ ვთხოულობთ ამას, ამას დღეს თითქმის მთელი რუსეთი თხოულობს, გარდა იმ ვაჟბატონებისა, რომლებსაც რუსის ხალხის უბედურება სწადიაო.

გურული ხალხი თხოულობს აგრეთვე გადასახადების სამართლიან საფუძველზე მოწესრიგებას. როგორც ვიცით, ჩვენში არსებობს გადამხდელი და არა გადამხდელი წოდება. ხალხი თხოულობს, რომ ამნაირათ დაყოფა მოისპოს, ყველა წოდება გათანასწორდეს და საზოგადო ხარჯების დასაფარავათ ყველა უნდა იხდიდეს, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ვისაც მეტი შემოსავალი აქვს, იმას მეტი გადახდეს, ვისაც—ნაკლები, იმან ნაკლები იხადოს, და ვისაც მცირე შემოსავალი აქვს და ოჯახის რჩენა უჭირს, მაგ. წელიწადში 400—500 მან., იგი სრულებით უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი გადასახადიდან ხაზინის სასარგებლოთ. გარდა ამისა უნდა მოისპოს არა პირდაპირი გადასახადი, რომელიც დაწესებულია სხვადასხვა გვარ სახმარ ნივთებზე, როგორც მაგ., ნავთზე, შაქარზე, ჩაიზე, სპიჩკაზე, თუთუნზე, არაყზე და სხვ., რადგანაც ყველა ეს გადასახადი უმეტეს ნაწილათ ისევ გაჭირვებულ ხალხს აწვება კისერზეო. ხალხი თხოულობს აგრეთვე სალდათობის მოსპობას, რადგანაც სალდათებს დღეს თვით ხალხის წინააღმდეგ ხმარობენ და ეს დიდი უსამართლობაა, როცა ძმა იძულებულია თავის ძმის წინააღმდეგ იარაღი იხმაროს და მისი სისხლი დაღვაროს. თუ გარეშე მტრებისაგან საჭიროა სამშობლოს დაცვა, ამას თვით ხალხი იკისრებს და ქუდზე კაცი გამოვა ქვეყნის უზრუნველ საყოფელათო.

მაგრამ უმთავრეს საჭირბოროტო კითხვას სოფელში დღეს მიწის საჭიროება შეადგენს. ყველამ კარგათ იცის, თუ როგორ უთანასწოროთ არის დღეს მიწა განაწილებული: მაშინ როცა უმცირესობის ხელში დიდ-ძალი მიწებია, უმრავლესობა, ე. ი. მუშა ხალხი, ან სრულებით მოკლებულია მიწა-ადგილს ან იმდენს ფლობს, რომ იმის საშუალებით თავის რჩენა არ შეუძლია. ამიტომ უმრავლესობა იძულებულია მემამულეებს მიმართოს და იმათგან აიღოს მიწა იჯარით. ამ გაჭირვებული მდგომარეობით სარგებლობენ მემამულეები და მიწებზე ადებენ ისეთ გადასახადს, ისეთ საიჯარო ქირას, რომ გლეხები ხარჯსაც ველარ ფარავენ იჯარით აღებული მიწების დამუშავებით. ასეთ გარემოებას ყოველგან დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია და გურიაშიაც ეს შეიქნა გლეხებსა და მემამულეების შეტაკების მიზეზათ, რამაც თავის მხრით დღევანდელი მოძრაობა გამოიწვია. მაგრამ ეს მხოლოთ ერთი მხარეა დღევანდელი უკმაყოფილებისა. ყველამ იცის, რომ ჩვენში ბატონ-ყმობა არსებობდა, რომელიც ამ ორმოცი წლის წინეთ გაუქმდა, და გლეხები გაანთავისუფლეს. მაგრამ ეს გათავისუფლება სიტყვით იყო, ნამდვილათ კი იმავე ნაბატონარის ხელში დატოვეს. საქმე იმაშია, რომ თუმც გლეხებს მიუზომეს იმ მიწების ნაწილი, რომლებიც ბატონ-ყმობის დროს საკუთრივ იმათ სარგებლობაში იყო, „ნადელების“ სახელით, მაგრამ ნამდვილათ ეს „ნადელები“ წინანდელ მებატონეთა საკუთრებათ იცნეს, რისთვისაც გლეხებს ყოველ წლივ განსაზღვრული გადასახადი უნდა ეძლია ნაბატონარისთვის, ე. ი. მოსავლის მეოთხედი ნაწილი; მხოლოთ თუ მემამულეს ნება იქნებოდა, გლეხს შეეძლო თავის დახსნა, ანუ „ნადელის“ გამოყიდვა მემამულესაგან. ამ ორმოცი წლის განმავლობაში გლეხების ერთმა ნაწილმა მამასისხლათ გამოიყიდა მემამულეებისაგან თავისი საკუთარი მიწები; მეორე ნაწილს კი დღესაც დაუხსნელი აქვს მემამულებისაგან „სანადეიო“ მიწები. ასეთი გარემოება გლეხებს დიდ უსამართლობით მიაჩნიათ. მიწა არ შეუქმნია ადამიანს ხელს, იგი არ არის შრომის ნაყოფი. მაშასადამე, საიდან მოხდა, რომ ერთს თვალუწვდენელი ადგილები ეკუთვნის, და მეორეს კი ფეხის დასადგამი მიწაც არა აქვს? გარდა ამისა, რისთვის მიაკუთვნეს მებატონეებს ის მიწები, რომლებითაც ბატონყმობის დროსაც კი გლეხები სარგებლობდენ? ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ „უსტავნი გრამატების“ შედგენის დროს, გლეხებს სრულებით ჩამოართვეს ყველა ტყე და საძოვარი ადგილები, რომლებითაც ისინი წინეთ სარგებლობდენ, და რომელიც შემდეგ თავად-აზნაურობის საკუთრებათ იცნეს. გურული გლეხები ამაში ხედვენ დიდ უსამართლობას და ამიტომ ერთხმათ თხოულობენ: გადახდილი ფულის უკან დაბრუნებას და ვინც აქამდის განთავისუფლებული არ არის, იმათ უფასოთ განთავისუფლებას. ამასვე თხოულობენ გლეხები სახელმწიფო გლეხებისათვისაც, რომლების მიწათმფლობელობა არაფრით არ არის განსაზღვრული და რომლების მდგომარეობა ამ მხრით კიდევ უფრო უარესია, რადგანაც დღეს ხაზინის უკანასკნელი მოხელეც კი მათი ბატონ-პატრონია! ყველა ამ კითხვების გამოსარკვევათ და მოსაწესრიგებლათ გლეხები თხოულობენ საგლეხო კომიტეტების დაწესებას. ეს კომიტეტები თვით გლეხებმა უნდა აირჩიონ, და ამ კომიტეტების განკარგულებაში უნდა გადავიდეს ის მიწები, რომლებიც უნდა ჩამოერთვათ ეკლესია-მონასტრებს, მდიდარ მემამულეებს და საუფლისწულო უწყებას. კომიტეტები ეცდებიან ეს მიწები საჭიროების დაგვარათ გაუნაწილონ გლეხებს. გურიის გლეხები ჯერ-ჯერობით არ თხოულობენ კერძო მიწათმფლობელობის გაუქმებას და მიწის საზოგადო საკუთრებათ გამოცხადებას. შრომის ექსპლოატაციის მხოლოთ მიწის კერძო საკუთრების მოსპობა მოუღებს ბოლოს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ შეუძლებელია. ჯერ-ჯერობით გლეხები მხოლოთ იმას თხოულობენ, რომ ბატონ-ყმობის ნაშთები სამუდამოთ გაუქმდეს და მიწის საიჯარო ქირა შემცირდეს.

გურული გლეხების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ხალხის დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლია მხოლოთ თვით ხალხის მიერ ამორჩეულ წარმომადგენლებიდან შემდგარ მთავრობას. მხოლოთ ხალხის მიერ თავისუფლათ არჩეულ წარმომადგენლებს შეუძლიათ ხალხის საჭიროებათა ცოდნა, და მხოლოთ ისინი შეძლებენ ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ სხვადასხვა ღონისძიების ხმარებას.

ეს არის გურიის ხალხის გულის წადილი, მისი ღრმა რწმენა და შეხედულება. ეს გესმით თქვენ როგორც სახალხო ყრილობებზე, ისე კერძო ლაპარაკში. ამას იმეორებს დღეს იქ მოხუცი და ახალგაზრდა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი. მაგრამ გურული ხალხი მარტო სიტყვით არ ადგია ამ გზას, იგი მზათაა საქმით დაიცვას და გაიყვანოს ცხოვრებაში ის, რასაც სიტყვიერათ აცხადებს. როგორც წინეთაც ვამბობდით, გურული ხალხი ოცნებით არ არის გატაცებული, იგი დგას სინამდვილეზე. აი, რა გამოირკვა დღეს!

ფ. მახარაძე.

ოფიციალური ცნობები

I

ომიანობის დროის წესები

უმაღლესათ დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დადგენილება: 1. შემოღებულ იქნას საომარ დროის წესები ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, ქუთაისის და სენაკის მაზრებში და ბათუმის ოლქის კონტრაშის საბოქაულოში; 2. მომენიჭოს მე ის უფლებანი, რომელიც აქვს ომიანობის დროს ჯართა უფროსებს და აგრეთვე სამოქალაქო უწყების განსაკუთრებული უფლებანი და მოვალეობანი სახემწიფო წეს-რიგისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცმის საქმეში; 3. ნება მომეცეს ზემოთ ჩამოთვლილი უფლებანი მივანიჭო ამისთვის განსაკუთრებულათ დანიშნულ კაცს იმ პირობით კი, რომ მთავარ-მართებელს უფლება ჰქონდეს გააუქმოს იმისი განკარგულებანი წეს-რიგისა და მშვიდობიანობის შესახებ.

ვაცხადებ რა ზემო-აღნიშნულს, ჩემ წინანდელ განკარგულებების დასამატებლათ, წინადადებას ვაძლევ გენერალ-მაიორს ალიხანოვს შეუდგეს იმ ადგილების მართვა-გამგეობას, სადაც შემოღებულ იქმნა საომარ დროის წესები, ამასთან მინიჭოს შესაფარი უფლებანიც.

მთავარ- მართებლის თანამ. აღმ. გენერალ-ლიეტენანტი მალამა.

II

საყალდებულო დადგენილება.

კავკავიის იმ ადგილებში, სადაც გაძლიერებულ დაცვის წესებია გამოცხადებული, სახელმწიფო წეს-რიგს და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცველათ, საჭიროთ ვცანი შემოღებულ იქმნას შემდეგი წესები:

1. ვინც საჭირო და სამრეწველო დაწესებულებებში სხვას მუშაობაზე ძალით ან შუქარით ხელს ააღებინებს, იგი ადმინისტრატიული წესით დაჯარიმებულ იქნება 500 მანეთამდე ან დაპატიმრებულ იქნება სამ თვემდე.

2. ასეთ სასჯელების დაწესება ევალებათ ადგილობრივ გუბერნატორებს.

3. ეს სავალდებულო დადგენილებანი ძალაში შევა გამოქვეყნების დღიდან.

მთავარ-მართებლის თანამდ. აღმასრ. გენერალ-ლეიტენანტი მალამა.

მთავრობის განკარგულება

„26 თებერვალი ქ. თბილისი. ბრძანება კავკასიის სამოქალაქო ნაწილისადმი № 19. საჭიროთ ვცანი, რომ აბაშის საბოქაულო (სენაკის მაზრა) და სამტრედიის საბოქაულო (ქუთაისის მაზრა) გამოყოფილ იქმნას ქუთაისის გუბერნიისაგან და სამოქალაქო მართვა-გამგეობის მხრივ-სანამ ხსენებულ ადგილებში სრული წესიერება და მშვიდობიანობა არ დამყარდება, დავუქვემდებარო კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში ჩარიცხულს გენერალ-მაიორს ალიხანოვ-ავარკის, რომელსაც გუბერნატორის უფლება ეძლევა. ამას ვაცხადებ 18 ამა თებერვალს ჩემ-მიერ გამოცემულ ბრძანებების, № 15, დასამატებლათ, საყოველთაო საცნობათ და, ვისაც შეეხება, თუ საჭიროება მოითხოვს, ჯეროვან განკარგულებათა მოსახდენათ.—კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენ.-ლეიტ. მალამა“.

ომის ამბები.

უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ბრძოლის ველზე შესამჩნევი ცვლილება მოხდა.

მუკდენის აღებით გამხნევებული იაპონელები ფეხდაფეხ დაედევნენ გაქცეულს და გზადაბნეულ რუსის ჯარს, რომლის მდგომარეობა ერთი ათათ გაძნელდა. ილაჯ გაწყვეტილი ჯარის კაცები, მშიერი, მწყურვალე, ნახევრათ შიშველი, იარაღს ყრიდენ და სასოწარკვეთილნი მტერს ხელში უვარდებოდენ. ზარბაზნების გრიალი, თოფების ჰექა ყოველ მხრიდან მოესმოდა ღვთის ანაბარათ მიტოვებულ რუსის ჯარს, ჯარის კაცთა რიცხვი თანდათან კლებულობდა და მუკდენიდან 25 მილის მანძილზე იაპონიის ჯარი მეფობდა. ასეთი დამარცხება ჯერ არ გამოუცდია ამ მხრით გამოცდილს მთავარ სარდალს კუროპატკინს. 40000-ზე მეტი ტყვე, აუარებელი დაელია, მრავალი ზარბაზანი და სხვა საომარი იარაღები, მუკდენი და მუკდენს შემდეგ 25 მილის მანძილი, ყველა ეს იაპონელებს დარჩა, მარა ამით არ დაკმაყოფილდა მარშალი ოიამა და თვით ტელიანსაც მიუსია თავისი ნაწრთობი და მამაცი ჯარი. 3 მარტს ტელინსაც მოუღეს ბოლო და რუსის ჯარმა ეს ქალაქიც მიატოვა. ყველა გამოცდილი მეომარი იმ აზრისაა, რომ ამ ნაირი დამარცხება არა თუ ამ ომში, არც ერთ ომში არასოდეს არ გამოუცდია მრავალჯერ დამარცხებულ რუსის ჯარსო. იაპონელების უკანასკნელ ბრწყინვალე გამარჯვების დიდი მნიშვნელობა აქვს: ამ გამარჯვებით მათ დაიჭირეს მუკდენ-სინმინისტინის გზა, რომელიც სანოვაგის და ციმბირის ჯარის გადმოზიდვას უადვილებდა რუსებს. ხელთ ჩაიგდეს ვეებერთელა სივრცე მუკდენიდან დაწყებული ტელინამდე; გააათკეცეს და განამტკიცეს ჩინელების განწყობილება და ნდობა, რაც ფრიად საგულისხმიეროა, როგორც იაპონელებისთვის, ისე ჩინელებისათვისაც; დასასრულ, ამავე გამარჯვებამ კიდევ უფრო დასცა სულიერათ ისედაც გულგატეხილი რუსის ჯარი, ბუნებით მამაცი, მარა საძაგელ გარემოებათ და სარდლების უნიჭობის მსხვერპლათ გამხდარი(რ.)

ყველა ეს მოსალოდნელი იყო და გასაკვირველიც არაფერია აქ, მარა ერთი გარემოება ძალა უნებურათ იქცევს ჩვენ ყურადღებას. მაშინ, როცა ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში იაპონელთა ოფიციალური ცნობები თავის გამარჯვებას ამბობდენ და რუსების უკუ ქცევის ამბავს გვატყობინებდენ, 40000 ჯარის კაცის ტყვეთ წაყვანას წერდენ და აუარებელ ავლადიდების ხელში ჩაგდებას გვაცნობებდენ, გენ. კუროპატკინი ჩვეულებრივი აუჩქარებლობით და აღტაცებით ასწერდა რუსის ჯარის სიმამაცეს, კარგ განწყობილებას, ყოველ მხრით უზრუნველ ყოფლობას და, ასე გასინჯეთ პოზიციების აღებას და იერიშების მოგერებასაც კი! როგორ უნდა შეგვეთანხმებია ეს ორი წყაროდან მომდინარე ამბები? რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ახლა, როცა ყველაფერი გამოირკვა. ნუ თუ მთავარ სარდალს ასეთ გადამახინჯებულ ცნობებს აწვდიდენ ბრძოლის ველიდან? (რ. ვ.)

ეხლა ტელეგრამამ გვაუწყა, რომ გენ. კუროპატკინი უმაღლესი ბრძანებით გადაყანებულია მთავარ-სარდალის ადგილიდან და მის მაგიერ ლინევიჩი ინიშნებაო. ვნახოთ, რამდენ ხანს შერჩება ახლათ დანიშნული გენერალი თავის ადგილს.

ზავი კი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შორს არის. გაჯიუტებული რუსეთი არ იწყებს ზავზე ლაპარაკს და გამარჯვებულმა იაპონიამ კი რა შუაში უნდა წამოიწყოს ზავის შესახებ მოლაპარაკება. გაიაშის უთქვამს, რომ იაპონია იქამდის იბრძოლებს, სანამ რუსეთი არ დაიწყებს ზავზე მოლაპარაკებასო.

სხვა და სხვა ამბები.

ოფიციალური ცნობა: მოსკოვის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ 14 იანვარს დაადგინა: პროტესტი გამოეცხადოს მთავრობას იმ ზომების ხმარების გამო, რომლებსაც მიმართა მან პეტერბურგში 9 იანვარს მუშების წინააღმდეგ. ამ პროტესტს საზოგადოებამ ზედ დაურთო: ვითხოვთ, რომ დაუყონებლივ შემოღებულ იქნას რუსეთში ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარი მთავრობა. საზოგადოებამ გადა-

წყვიტა აცნობოს თავისი დადგენილება ყველა საქალაქო და სამაზრო ერობებს, ყველა საქალაქო საბჭოებს, ვოლოსტებს და აგრეთვე ყველა სამეურნეო საზოგადოებებს, რის სისრულეში მოყვანასაც იგი შეუდგა. როცა სამიწათმოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა უქვეშევრდომილესათ მოახსენა ხელმწიფეს ხსენებული დადგენილება, მან ბრძანა: ამიერიდან საზოგადოებას უფლება აღარ ექნება საიმპერატოროთ იწოდებოდესო.

ქუთაისიდან გვატყობინებენ: 4 მარტს აუარება ხალხის თანადასწრებით ქალაქის საბჭომ შემდეგი დაადგინა: არჩეულ იქნას კომისია ხმოსნებისაგან, რომელსაც დაევალოს ადგილობრივ საჭიროებათა გამოკვლევა და იმ ზომების აღნიშვნა, რომლებიც საჭიროა რუსეთის წესწყობილების გასაუმჯობესებლათ; შუამდგომლობა აღძრან იმის შესახებ, რომ იმ რჩევაში, რომელმაც შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით უნდა შეიმუშაოს ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის პირობები, მიწვეულ იქნას წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიიდანაც; ხელმეორეთ მოთხოვონ გუბერნატორს, რათა მან თავის დაპირებისამებრ დაუყონებლივ გამოიძიოს 14 თებერვალს მომხდარ სისხლის ღვრის საქმე ქალაქის წარმომადგენელთა მონაწილეობით

---

1 მარტს გამოცხადდა უმაღლესი რესკრიპტი გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის სახელობაზე, რომლითაც ეს უკანასკნელი ინიშნება კავკასიის ნამესტნიკათ.

როგორც გაზ. «კავკაზს» იუწყება, საშინაო საქმეთა მინისტრს მოუწონებია და დაუმტკიცებია მთავარმართებლის მოადგილის გენ. მალამას მოხსენება ქალ. ერევანში გაძლიერებული დაცვის შემოღების შესახებ.

ქ. განჯაში 20 თებერვალს გაფიცულან ადგილობრივი ცხენის რკინის გზის დაბალი მოსამსახურენი.

აღსტაფიდან იწერებიან, რომ ამ დღეებში რკინის გზის მუშებმა ხელი აიღეს მუშაობაზე. თხოულობენ ჯამაგირების მომატებას. ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ შეიწყნარა მათი თხოვნა და ჯამაგირის ათი პროცენტი მოუმატა.

ქ. ყარსში კავკასიის გზების ოლქის ადგილობრივ განყოფილების უფროსის კანცელარიიდან მოუპარავთ ორი ყუთი, რომელშიაც 37 ბერდანის თოფი ყოფილა და სამი ყუთი ბერდანის თოფის პატრონებით სავსე.

ამიერ კავკასიის რკინის გზის დამტვირთველ-გადამტვირთველმა მუშებმა ფოთსა და ბათუმში რკინის გზის გამგეობას შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს: 1. ორი თუმნის მაგივრათ თვეში მიეცეთ სამი თუმანი; 2. შეეძლოთ რკინის გზის ექიმით და წამლით სარგებლობა; 3. კვირა დღე იუქმონ; 4. მიეცეთ საცხოვრებელი ბინა; 5. დააკმაყოფილონ გაფიცული დრო. რკინის გზის გამგეობამ გამოუცხადა მუშებს, რომ მიეცემათ მუშებს ოც-და-ხუთი მანეთი, შეუძლიანთ ისარგებლონ ექიმითა და წამლით, მაგრამ სადგომები ჯერ არა აქვს რკინის გზასაო. ამასთან შეუთვალეს, თუ ამ პირობაზე არ გამოხვალთ სამუშაოთ, დათხოვნილი იქნებით და თქვენ ადგილას ახალი არტელი გაიგზავნებაო.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ხსენებული გზის მმართველობის ყველა განყოფილებების უფროსებს მიწერილობა დაუგზავნა, რომლითაც უბრძანებს, რომ, თუ რომელიმე მოხელემ თავის ნებით გაანება სამსახურს თავი, დაუყონებლივ მოიწვიეთ ჟანდარმთა აფიცერი და ოქმი შეადგინეთ დამნაშავე მოხელის პასუხისგებაში მისაცემათო.

ამ დღეებში ბ-ნ კრიმ-გირეისთან მისულა გლეხების დეპუტაცია სოფ. შემოქმედიდან, რომელთაც შემდეგი გაუცხადებიათ: „შემოქმედში აზნაური ანტონ დუმბაძის სახლში შემდეგი ამბავი მოხდა. მოჯამაგირემ, 17—18 წლის ბიჭმა, რომელიც მარტო დატოვა პატრონმა სახლში და თითონ ოზურგეთში ცხოვრობდა, 23 თებერვალს ღამით ატეხა ცარიელ სახლში თოფისა და რევორველის სროლა, დახვრიტა ტყვიებით კარები და ჭერი. ბიჭმა შემდეგ განაცხადა, ჩემი პატრონის სახლს შეიარაღებული ხალხი დაეცა სამტროდაო. თავი მოიყარა მეორე დღეს 25 კაცმა მამასახლისითა და ოზურგეთიდან ჩამოსულ მღვდელ დავით დუმბაძით (ანტონ დუმბაძის შვილია). მოჯამაგირე გამოტყდა: პატრონმა დამარიგა ასე მოვქცეულიყავი, მითხრა ჯარს მოიყვანენ, ასე თუ მოიქცევი, ყარაულებს მოგვცემენ, და მე და შენ მშვიდობიანათ ვიცხოვრებთო. თან 30 მან. აღმითქვა პატრონმა ამ საქმისათვისაო.

ამ შემთხვევამ და აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ამას წინათ ოზურგეთში ვიღაც ბოროტ-განმზრახველები თავს დაეცნენ ყარაულ სალდათს და დაჭრეს იგი, მეტათ ააშფოთა მცხოვრებელები. ისინი შიშობენ, რომ ხალხის მტრებმა კიდევ არაფერი ჩაიდინონ და ხალხს არ მოახვიონ თავზე. შემოქმედიდან მოსულმა დეპუტაციამ თხოვა კრიმ-გირეის: ნება მოგვეცით ჩვენი ყარაულები გაგაყოლოთ ყველგანო. კრიმ-გირეემ მადლობა უთხრა. მაგრამ აქაური გლეხები მაინც დღე და ღამ იცავენ და თვალს არ აშორებენ კრიმ-გირეის. ეს პირველი მაგალითი არ არის. რაც გურიაში ყაზახების ეკზეკუცია იდგა, ხალხი თავის ნებათ იცავდა ჯარს, რომ ბოროტ-განმზრახველთ რამე არ ჩაედინათ ხალხის ასაწიოკებლათ.

ქართლ-კახეთის გლეხკაცობის დღევანდელი მდგომარეობის დასახასიათებლათ ჩვენ, სხვათა შორის, შემდეგი გვიამბეს: თუ რამდენათ უდიერათ უნდა ეპყრობოდენ ქართლის დიდი მემამულენი თავიანთ ვალდებულ თუ არა ვალდებულ ხიზან გლეხებს, ეს შემდეგიდან ჩანს: თებერვლის 25-ს რიცხვს, ქ. თბილისში, ერთი მდიდარ ქართველის მემამულის კარის წინ, მოგროვილი იყო ხალხი. იქვე იდგა ერთი საწყალი გლეხი კაცი, ქუდ მოხდილი და ვიღასაც რაღაცაზე ეხვეწებოდა. მე მიველ და გლეხს გამოვკითხე, თუ რომ მოიყვანა იგი აქ. გლეხმა აი რა გადმომცა: ჩემმა ბალღმა ტყიდან ცოტა ოდენი ფიჩხი გამოიტანა. გზაზე მოასწრეს ბატონის კაცებმა, დაიჭირეს და წაიყვანეს. ეხლა დაჭერილია და მეც მაჯარიმებენ. მოველი ჩვენ კნეინა ბატონთან და ვეხვეწები პატიებას და არ ვიცი, ეხლა როგორ იქმნება საქმე. ფიჩხიც იქვე დაუბრუნეთ, მაგრამ არა იქნა-რა. გლეხი გაისტუმრეს შინ, არ ვიცით საქმე როგორ გათავდა.

ამ უკანასკნელ დროს რუსეთის სამ გუბერნიაში მომხდარა გლეხების აჯანყება. ოფიციალურ განცხადებაში ამ აჯანყების შესახებ მხოლოთ შემდეგია ნათქვამი: დიმიტრევის მაზრაში თავი იჩინა გლეხთა აღელვებამ. 18 თებერვალს გლეხებმა გაანადგურეს ვაჭარი ჩიჩკინის კარ-მიდამო და გაიტაცეს სხვა და სხვა სამეურნეო ნაწარმოები, თივა და პური. ამას შემდეგ გლეხები გაემართენ მეზობლათ მყოფ ბარონ მეიენდორფების მამულებისაკენ, ორლოვის გუბერნიაში. აქედან ბრბო, რომელიც დაახლოვებით 2000 კაცისაგან შედგებოდა, გაემართა ჩერნიგოვის გუბერნიის გლუხოვის მაზრისაკენ და სოფელ მიხაილოვსკაში ცეცხლი წაუკიდა და სულ ერთიანათ

გაანადგურა ტერეშჩენკოს შაქრის ქარხანა; გზა და გზა ბრბომ ხუთიოდე მემამულის კარ-ნაშენობაც აიკლო. როდესაც კურსკის, ორლოვისა და ჩერნიგოვის გუბერნატორები ამბოხებულ ადგილებში მივიდენ, რომელთა განკარგულებაში თითო ბატალიონი ქვეითა ჯარი და ორი ესკადრონი ცხენოსან ჯარის კაცი ირიცხებოდა, მეამბოხენი მაშინვე დაწყნარდენ. ჯარის კაცებს იარაღის ხმარება არ დაჭირდათ. მთელ მაზრაში წესრიგი ხელ-ახლავ აღდგენილია. გლეხები უკანვე უბრუნებენ პატრონებს თავიანთ ნადავლს. დაჭერილია რამოდენიმე ასი კაცი. არეულობამ ისე ჩაიარა, რომ არსად მკვლელობა არ მომხდარა. მხოლოთ ერთ ადგილას დაჭრეს ურიადნიკი და მეორეს—ასისთავი. ის ადგილი, სადაც გლეხთა არეულობამ თავი იჩინა, თუმცაღა სამი გუბერნიის ნაწილს შეადგენს, მაგრამ სივრცით არ აღემატება 150 ოთხკუთხ ვერსს, ჯარის დაგვიანების მიზეზი იმითი აიხსნება, რომ აჯანყებული ადგილი რკინის გზის ლიანდაგიდან 50 ვერსით არის დაშორებული და ცხენოსან ჯარის ბინაც ამ ადგილებზე შორსაა.

თფილისის საბალოსნო სკოლის მოსწავლეებმა თავიანთი მოთხოვნილებები წარუდგინეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. საბჭომ განიხილა რა ეს მოთხოვნილებანი, დაადგინა: დათხოვნილ იქნეს შეგირდები იმ დრომდე, ვიდრე სწავლის განახლების შესახებ განკარგულება მოხდება.

---

25 თებერვალს ქუთაისში ჩაუტანიათ სამტრედიაში მოკლული ბოჭაულის ჩიკვილაძის გვამი. სადგურზე შეხვდა გუბერნატორი, ასი ყაზახ-რუსი და სამხედრო მუსიკა. კუბო „დვორნიკებს“ მიჰქონდათ. გარდა გუბერნატორისა, ყაზახ-რუსებისა და პოლიციელებისა პროცესიაში მონაწილეობა არავის არ მიუღია.

დუშეთის მაზრიდან იტყობინებიან, რომ ადგილობრივ გლეხობას, უშეშობით შეწუხებულს, სახელმწიფო ტყის კაფვა დაუწყია. ჯერჯერობით არავინ უშლის. მუხრანის საუფლისწულო მამულშიაც საქონელი შეუშვიათ საძოვებლათ. მაგრამ აქ შეტაკება მოსვლიათ გლეხებს მამულის ყარაულებთან და საერობო დარაჯებთან და ერთი დარაჯთაგანი კიდევაც მოუკლავთ გლეხებს.

სოფ. კავთისხევიდან (გორის მაზრა) ადგილობრივ გაზეთებს წერენ: გლეხებს ამ დღეებში თავიანთი მღვდლები დაუბარებიათ და განუცხადებიათ, რომ ამა თუ იმ ღვდელმოქმედების შესრულებისათვის ესა თუ ის გასამრჯელო უნდა აიღონ. ეს გასამრჯელო, რა თქმა უნდა, წინანდელზე ბევრათ უფრო მცირეა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მღვდლები დათანხმებულან, გარდა ერთისა.

---

28 თებერვალს, დაბა სამტრედიაში, საღამოს $7^1/_2$ საათზე, ხუთი შეიარაღებული კაცი დაცემია ფოსტის კანტორას და წაუღიათ 2000 მან. და ორი დიდი რევოლვერი.

ქ. ქუთაისში 27 თებერვალს თვითმართველობის სადგომში მოლაპარაკება ქონდათ გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის მოწაფეთ და მშობლებს სწავლის დაწყების შესახებ. შეგირდები გულ-მხურვალეთ ამტკიცებდენ, რომ დღევანდელ პირობებში არას გზით არ შეუძლიათ სწავლის დაწყება და დამშვიდებული მეცადინეობა. ქუჩებში ცემა-ტყეპაა, ტყვიებით გულ-გაგმირული ხალხის შვილთა სისხლი იღვრება, ყოველ-მხრიდან აღმაშფოთებელი ამბები გვესმის და როგორ გინდათ, რომ ახალ-გაზდობა ოთხ-კედელს შუა დაიმწყვდეს, არითმეტიკული ამოცანები აკეთოს და გრამატიკული ფორმები იზეპიროსო. ახალგაზდების კეთილშობილურ აზრებს მშობლები იძულებულნი შეიქნენ დათანხმებოდენ და „მამებმაც“ გადაწყვიტეს: ახლანდელ პირობებში მეცადინეობა მართლა რომ შეუძლებელიაო. სასწავლებლების მთავრობას კი დიდი იმედი ქონდა მოწაფეთა მშობლებისა. ეგონათ უმაღლეს მთავრობას სწავლის დაწყებასა თხოვენო. ძალიან დალონებულნი კი არიან ჩვენი პედაგოგები: ვფიქრობენ ჯამაგირები არ მოგვისპონო. მათი ჯამაგირებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ იმ მოწაფეებს, კი რომელთაც სასწავლებლიდან ნივთიერი დახმარება ეძლეოდათ—სწავლის დაწყებამდინ აღარ მიეცემათ.

ბათომიდან გვწერენ: 20 თებერვალს სომხების ეკლესიაში გადაიხადეს პანაშვიდი ბაქოში დახოცილ სომეხთა პატივსაცემლათ. დილის ათი საათიდან აუარებელი ხალხი მიაწყდა ეკლესიას ეზოს და ახლობელ ქუჩებს. სომხებს წინდაწინვე ეთხოვა პოლიციისათვის—ნურავის გამოგზავნით, წესიერებას ჩვენვე დავიცავთო. და მართლაც ეს 7—8 ათასი კაცი სამაგალითოთ იცავდა წესიერებას. პოლიციას მაინც ვერ მოეთმინა, რომ შეკრებილ ხალხისათვის თავისი თავი არ ეჩვენებინა. მოჩანდა ხალხში ჟანდარმი და ერთი აფიცერი, რომელსაც სამი თოფიანი სალდათი ახლდა, მოჩანდენ „დვორნიკებიც“ ტუკებითა და თოფებით; ყაზახებიც დრო გამოშვებით გამოეცხადებოდა ხალხს. როცა პანაშვიდი დასრულდა ეკლესიის ეზოში სიტყვები წარმოთქვეს. პირველმა ორმა ორატორმა კავკასიელების ძმობა-ერთობაზე ილაპარაკა; ერთმა ორატორმა ქართულათ წარმოთქვა სიტყვა და ნიჭიერათ დაასურათა დღევანდელი მდგომარეობა. შემდეგ ილაპარაკა რუსმა-ორატორმა. იგიც დღევანდელ მდგომარეობის შესახებ ლაპარაკობდა; მას არ აცალეს სიტყვის დასრულება. გაისმა რევოლვერის ხმა (დანამდვილებით ამბობენ პირველათ იმ აფიცერმა ისროლა, რომელსაც სამი სალდათი ახლდაო); სხვადასხვა კუთხეებიდან ისროდენ. ცხადი შეიქნა, თუ ვინ სროლილობდა; ბევრი დაშავდა. ხალხი გაიფანტა. ბათუმის მთელი ჯარები ფეხზე დააყენეს, ყაზახები დააჭროლებდენ ცხენებს ქუჩებში. ერთ ქუჩაზე სომხების ეკლესიიდან თითქმის ერთი ვერსის სიშორეზე, ყაზახებმა თოფები დაუშინეს ერთ სახლს. სხვაგანაც ესროლეს ხალხს. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. როგორც ამბობენ შვიდამდე უნდა იყოს მკვდარი, მათ შორის ერთი რუსის ქალიც არის. უმეტესათ მოკლული და დაჭრილები ქართველი მუშებია. დაჭრილთა შორის არის ერთი სახელოსნო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეც.

22 თებერვალს, ქალაქის თავს წარუდგენ ორმოცამდე ვაჭარნი და თხოვეს—დაგვიცავით რამე ფერათ ყაზახთა ცემა-ტყეპისა და ძარცვა-გლეჯისაგანაო. ქალაქის თავმა განუცხადა მათ, რომ უღონოა ამ შემთხვევაში და პოლიციმეისტრის და გუბერნატორისაკენ მიუთითა.

ჩვენ გვწერენ ს. მუხაყრუიდან (ქუთ. მაზრა): 8 თებერვალს, ღამით მოკლეს ადგილობრივი მცხოვრები მუშა პარმენ ნადირაძე, რომელიც დაასაფლავეს 13 თებერვალს. განსვენებულის დასაფლავებას დაესწრო 5000-მდე კაცი და ქალი და სამტრედიის დეპოს მუშები თავის მუსიკით. ამ პატიოსან თანამედროვე სოფლის მოღვაწის ცხედრის წინაშე ბევრი ამ დროის შესაფერისი სიტყვები წარმოითქვა. ხალხს დიდი აღელვება ეტყობოდა და ყველანი ზიზღით იხსენიებდა მკვლელს. როგორც ხმა დადის, მკვლელობა ჩაუდენიათ იმ ვაჟბატონებს, რომლებსაც ხალხის გამოფხიზლება აწუხებთ.

ჩვენ გვწერენ სამტრედიიდან: ამ დღეებში სამტრედიაში გავრცელდა ხმა, რომ ქართველები რუსებს უნდა დაეცენ და ამოჟლიტონო. შეიქნა მზადება. ღამე გარეთ ვეღარ გამოდიოდენ. სანოვაგეს მთელი კვირისთვის იძენდენ და სხვ. დილ-

დილობით ერთმანეთს გადარჩენას ულოცავდენ. ერთი სიტყვით, ვიღაც თუ რაღაც მეორე „ბაქოს დღეებს“ ამზადებდა, მაგრამ ხალხმა თავის დროზე მიხვდა რაში იყო საქმე და დაამშვიდა შეშინებულები.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. სამტრედიის ყოფილ ბოქაულს მაისურაძეს, რომელიც ახლა სამსახურში აღარ არის (არავინ იცის თითონ გადადგა, თუ გადააყენეს—ან რა საიდუმლოება იმალება ამ გადაყენებაში თუ დათხოვაში) სამტრედიელები ფულს უგროვებენ, შემწეობას აძლევენ. ისიც ცრემლებით თვალზე, ღებულობს შემწეობას, გული უჩვილდება, კომპლიმენტებს ამბობს... და არის ერთი კომედია. ამბობენ, ორას მანეთამდე უსრულებენო. რა კაცი იქნება ეგ ყოფილი ბოქაული, ან რა როლს ითამაშებს ის მომავალში, ამას თვით მომავალი გვაჩვენებს. დროა სამტრედიელებმა თვალები გაახილონ და ჩაუფიქრდენ თავის საქციელს.

კორესპონდენციები.

საჩხერე. ის ქარიშხალი, რომელიც გრიალებს დღეს მთელ რუსეთში და მთლათ განადგურებას უქადის ეროვნებას იმას, რაც ხალხისთვის მაგნებელია, ჩვენშიაც შემოიჭრა და აქამდის მიძანებული ხალხი გამოაფხიზლა. ჩვენშიაც შეიგნო ხალხმა, რომ ძველებურათ ცხოვრება აღარ შეიძლება და საერთო მოძრაობით გატეხებულმა მედგრათ წინ გაიწია, ურ-ეო ადმინისტრაცია, სასამართლო და, საზოგადოთ, მთავრობისაგან დაუნებებული ოხუნჯობები და თავის საქმის მოწყეს-რიგებას თითონ შეუდგა. მრავლისაგან უმრავლესმა მაკლათმა დაარწმუნა ხალხი, რომ დღევანდელი სასამართლო, მისი ადგილობრივი წარმომადგენლებით, თვიდან-ბოლომდინ უსამართლობას წარმოადგენს და მეტს არაფერს. თუ ვისმე ცხვარი ან დორი დაეკარგებოდა და ამისთვის ის რომელიმე მოსამართლეს მიმართავდა, დარწმუნებული იყო, რომ ძროხის ან ხარის ზედ წადება დაწერდებოდა და მაშინაც კი გერას კი დებოდა. სოფლის ახასაკიდან დაწყებული, ყველა მის ათას-ნაირათ დახტინდ ჯიბეს მიჩერებოდა. ამ ნაირათ, სამართლის უკუღმართობამ, ხალხი იძულებული გახდა თავის მოსამართლეთ თითონ გამხდარიყო. წინეთ თუ სასამართლოს დარბაზში ათასებული ხალხით იყო ხოლმე გატენილი, სამაგიეროთ ეხ ერთ კაცსაც ვერ ნახავთ დღეს. ბოქაულ-მამასახლისებთან აღარავინ მიდის დღეს, რადგანაც იცით, რომ ისინი არა თუ არა სჯობენ ბოროტებს, არამედ თვით ქმნიან მას.

ამ სამი-ოთხი თვის წინეთ ხალხი შეეწეროებული იყო ქურდბაცაცებისაგან. არ დარჩენილა მოსახლე, რომ არა დაკარგოდეს რა. თითონ სჩხერეში კუტუხეს დუქანი გაქურეს ენუქა ხოკაშვილს და 1500 მანეთით დირებული საქონელი წაიღეს, მაგრამ ქურდები ვერ ამოაჩინეს. ხალხი გაიძახოდა: ვიცით ვინც არიან ჩვენი ქურდები, მაგრამ რომ ვთქვათ, უარესს დავემართებენო. ბოქაული მათ ხელს არ კიდებს და სულაიო. დღეს კი ამებს ვედარ გაიგონებთ. წარსულ თებერვალში აქ მხოლოთ ორი შემთხვევა მოხდა ქურდობისა—ერთი საჩხერეში და მეორე სოფელ ჩხარში.

ერთგან მოპარეს თუნგი, მეორედგან ორი ბათმანი დობიო. შეეკრიბენ მაზრელები და სოფლელები და უცბათ ადმოაჩინეს ქურდები, მოკიდეს ზურგზე ნაქურდები და ბაზარიც და სოფელიც ისე ჩამოატარეს. ყველა შერცხვენას ეუბნებოდა ქურდებს და მათაც ადამიანის ნაშან-წულად აღარ ეგდათ. შემდეგ ხალხმა გაათრთხიალა ქურდები—თუ კიდევ ჩაიდენია ამისთანა საქმე სასტიკათ დაისჯებითო. ეოველი მხრიდან ისმოდა: „დმერთმა ცოცხალი ნუდა მამუოთოს, რომ ამისთანა საქმე დამეშართოსო“. გლეხებმა შეუთვალეს ამხანაურებს—თუ გინდათ ჩვენი ძმობა, მაიტოვეთ ძველებური ბატონობა და გვერდში ამოგვიდექითო. ბევრს, რასკვირველია, არაფერთ ეკუთნოდა ეს წინადადება, რადგანაც გლეხკაცებთან შეერთების ათას-გვარი პრივილეგიების უარეოფა მოდევს, მაგრამ ზოგმა გაიგრძნო შეხედა საქმეს და გლეხების ძმობა-ერთობა გამოუცხადა... დიახ, ხალხი გამოეხიზდა, ამოძრავდა და ისიც ენერგიულათ შეუდგა წინსვლას, რომ მას ვერაფერი ვედარ შეაფერხებს.

ქვარნალელი.

გურია. ეგეც საათის აშკარაა, რომ გურიამ დღეს პირველი ადგილი დაიჭირა ეხლანდელ მოძრაობაში. გურულმა გლეხმა სხვა კუთხეების გლეხებზე უფრო ადრე იგრძნო „განათხულის“ მოახლოვება და რომ გონებრივათ წინ წაიწიოს, მაიდო სასტიკი ზომები ქურდობის, დოთობის, ავაზაკობის და სხვა უწესოების მოსასპობლათ. ეველაზე უფრო საეურადღებო ის არის, რომ ხალხმა შეწუხეტა ეოველივე კავშირი ადმინისტრაციასთან და მით დაამტკიცა, რომ ხალხს პოლიციაზე უკეთ შეუძლია უწესოების მოსპობა და მშვიდობიანობის დამკვიდრება.

გურიის სოფლებს უფრო ეტეობა სიტოტხლე, ვიდრე გურიის დედა ქალაქს ოზურგეთს. მართალია ოზურგეთში არ არის ფაბრიკა-ქარხნები, მაგრამ სამაგიეროთ არიან ნოქრები, რომლებიც აუტანელ პირობებში ცხოვრობენ. მათი სამუშაო დღე არ არის განსაზღვრული. უფრო შესაბრალისი არიან მეწისქვილეების ნოქრები, რომლებიც ეშეტეს ნაწილათ მცირეწლოვანი არიან და რომლების უმრავლესობა უკეამაგიროთ მუშაობს. თითო ნოქარს უწევს დღეიურათ 16—18 საათის მუშაობა. ერთი სიტყვით მუშის ექსპლუატაცია აქაც ხდება, მაგრამ აქაური ხალხი მაინც არ იდებს ხმას და მიცემია სადათს ძიდს. სასწავლებლები აქაც დაკეტეს. სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეებმა წარედგინეს სკოლის მთავრობას მოთხოვნილებანი, რომლებიც შეეხებოდა სასწავლებლის შინაურ ცხოვრებას. მოთხოვეს მაგ. მასწავლეთა 15% გახთავისუფლება სწავლის ფულისაგან, სუსტ მასწავლებლების დათხოვნა და სხვა. მთავრობამ მათი მოთხოვნილებები არ დააკმაყოფილა და სწავლა შეაჩერა სექტემბრამდის. 21 ოქტომბრიდან დაიხურა გერძო საქალაქო ბრიგიმნაზია. მასწავლე ქალებმა დაკეტეს ფანჯრები და დაკლიკეს სურათები. დაიუხურა აგრეთვე, მგონი სამუდამოთ, ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელიც.

ვანო ქარცივაძე.

ქუთაისი. ფარმაცევტების, სადგურის მუშების და ნოქრების გაფიცვებს, რომელებმაც მათ სასარგებლოთ ჩაიარა, დღეს დურგლის ხელობის წარმომადგენლებიც მიეყენ. ამათაც დროის შესაფერისათ უნდათ თავიანთი შრომის გაწესრიგება და დაკმაყოფილება. ამის გამო 200-300-დი კაცი ამ ხელობის წარმომადგენლებს ერთი კვირაა აღარ მუშაობენ, მოიდაბარაკეს და დაადგინეს შემოიდონ წიგნაკები, რაზეც აღნუსხული იქნება ყველანაირი სადურგლო საქმეების ფასები, აგრეთვე დღიური ფასები და სამუშაო დრო. ეს მათი მოთხოვნილებები მალე დაისტამბება და დაურიგდება დურგლებს სახელმძღვანელოთ.

ფოტოგრაფებმაც მხარი მიცეს დღევანდელ მიმდინარეობას და 1 მარტიდან შემდეგი განცხადებით მიმართეს საზოგადოებას: „ფოტოგრაფთა კიდებს ზაფხულობით დილის 8 საათზე და დახურება სალამოს 7 ზე, ზამთრობით კი დილის 9 საათზე და დახურება სალამოს 6-ზე. მუშაობა როგორც ქარგლებს, ისე შეგირდებს ექნება რვა-რვა საათი დღეში. გარდა ამისა ფოტოგრაფიაში მომუშავეები განთავისუფლებულ იქნებიან კვირა-უქმე დღეებში. სხვა შეღავათზე ჯერ ამათ არა გადუწყვეტიათ-რა.

კვირას 28-ს ქალაქის სიბჭოს დარბაზში მოდაბარაკება ქონდათ მშობლებსა და საშვალო სასწავლებლის შეგირდებს ამის შესახებ, განაგრძონ თუ არა სწავლა დღევანდელ პირობებში. ბევრი ამ აზრის იყო, რომ სწავლის გაგრძობა საჭირო, რადგან ჩვენ სასწავლებლებს უამისოთ ხიფათი მოელისო, მარა გემნაზიის და რეალურ სასწავლებლის უფროსი კლასის შეგირდებმა და ზოგიერთმა ინტელიგენტებმა ისე მჭერმეტყველურათ იდაბარაკეს და დაახასიათეს დღე-

ვანდელი საერთო მღელვარება საზოგადოებისა, რომ ურჩმა მშობლებმა იმათ თავი ვეღარ შემოაურჩეს და დაეშორჩილენ ახალგაზდათა სურვილებს. ასე რომ თუმცა სასწავლებლების (რეალური და გემნაზიის) მთავრობას კი უნდა სწავლა დაეწყოს, მარა შეგირდები მათ სურვილს ვერ ურიგდებიან. აბა თუ ასეა, ეუბნებიან ისინი ამათ, ვისაც რამე დახმარება გეძლევათ მთავრობისაგან, ეს ადარ მოგეცემოთო. დარიბ შეგირდების ასეთი ნივთიერი დასჯა რა სამართლიანობაა ადარ გვესმის?! თუ ასეა, მაშ ამ კანცლერ ხანებში არც თვით ადმზდელებს ეკუთნით ჯამაგირები...

I მარტს ჩამოასვენეს ქუთაისში მატარებლით 26 თებ. ჭიათურაში მოკლული ორი სტრაჟნიკი, რომლების დაშარხვას ნება ხალხს არც ჭიათურაში მიუცია და არც უკვირდაში, სიდანაც მაზრის უფროსმა დუბერნატორს აცნობა ამაზე და მანაც მიიწერა ქუთაისში ჩამოასვენებიათ და სამხედრო ლახარეთის სასაფლაოზე დაეშარხათ. ხოდა იქვე მოკლულ თ-დ მხეიძის გვამი უკვირდიდან ჩუმათ სამეგრელოში გაუპარებიათ, სადაც მას ეოლია ძმა, რომელსაც აქ მისი დაშარხვაზე დებეშით უარი განუცხადებია.

სასულიერო სასწავლებლის რჩევის გადუწყვეტია სწავლა ხვალ, 7 მარტიდან დაიწყოს, თუ შეგირდები მივიდენ სასწავლებელში.

28 თებერვალს დანიშნული იყო „უკვირდის თეატრის ამხანაგობის“ კრება, რომელზედაც უნდა განეხილათ სამი წლის ანგარიში. კრება ამ დღეს ადარ შედგა, რადგან ათიოდ კაცის მეტი არ მივიდა. განსახილველ საკანთა შორის ორი ფრიად საპატიო საკითხია: „სახალხო წარმომადგენების და სახალხო კითხვების შესახებ“. საჭიროა ამ ახლათ დაწყებული საქმის სამოქმედო პროგრამა ამ თავითვე ნათლათ გამოირკვეს, რომ ეს სახალხო საქმე მტკიცე ნიადაგზე დამყარდეს. საჭიროა მომავალ კრებას მომეტებული ხალხი დესწროს...

ჭიათურიდან ჩამოსულებმა გვითხრეს, რომ 28 თებ. მუშის გიუნაშვილის დამარხვის მშვიდობიანათ ჩაუვლია. პროცესიას 12000 ქალი და კაცი გაეოლია ჭიქურაში. გუბოს რამდენიმე წითელ დროშებიანი გვირგვინი ამოებდა. წარმოითქვა გზა და გზა რამდენიმე სათანაგრძნობო სიტყვები. ი-ლი.

რუსეთის ქრონიკა

„ეკო დეპარი“-ს ცნობებით, შინაკან საქმეთა მინისტრი ბულიგინი გადაწყვეტით თხოულობდა რესკრიპტის გამოცხადებას ხალხის წარმომადგენელების მოწვევაზე. 18 თებერვალს, სადმის ექვს საათზე, ცარსკოე სელოდან უკვე მინისტრები „პრავიტელსტვენი გვესტნიკ“-ის სტამბაში წაიყვანეს; 7 საათზე რესკრიპტს უკვე ვრცელებდენ. მინისტრთა საბჭოში, რომელმაც ხალხის წარმომადგენლების მოწვევა დაადგინა, არ ეოფილა მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ს. ი. ვიტტე. ს. ი. ვიტტე ფაქტიურათ ადარ არის მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე მას შემდეგ, რაც გამოიცა მანიფესტი და ბრძანება სენატისადმი. ეხლა კომიტეტი უმთავრეს ფუნქციებს ასრულებს თვითონ ხელმწიფის თავმჯდომარეობით. როცა საერო კრება მოწვეული იქნება, მინისტრთა კომიტეტისა და მის კომისიების მოქმედება შესამჭნეველათ შემცირდება. ამგვარათ ს. ი. ვიტტე, როგორც წინათაც ამბობდენ, სრულიად დაუნებებს თავს გასხელმწიფო საქმეებს. როგორც ცნობილია, დეკემბერში ს. ი. ვიტტე წინადმდეგი იყო საერო კრების მოწვევისა. („ჟ. ბ.“).

ფრანგული გაზეთის („Echo de Paris“) კორესპონდენტს მოუვლია რა ეს ცნობა დაუნებ, რომ ვიტტეს სელმძღვანელობითი რიდი სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში მორჩუნილა, იგი საზოგადოებრივ ასპერეზს უნდა განშორდეს, რადგანაც მან დროზე ვერ იგისრა ვერც კონსერვატორების და ვერც დიბეულების მეთაურობა. მისმა ოპპორტონისტულმა ტაქტიკამ ის ნაყოფი გამოიდო, რომ კონსერვატორები იმაში სედვენ გადამეტებით დიბერალს, დიბერალები კი იგი ხალხის წარმომადგენლობითი მთავრობის მტრათ მიაჩნიათ.

20 იანვარს ნოვოალექსანდრიის სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებს კრება ქონდათ, რომელზედაც პროფესორებიც იყვნენ მიწვეული. დიდი კამათის კრებამ ერთხმათ მტკიცეთ ადარა დღევანდელი რეჟიმის უვარგისობა და ამისთანა პირობებში სწავლის განგრძობის შეუძლებლობა, ამისათვის ერთხმათ (188 კაცი) დაადგინა: დაიხუროს ინსტიტუტი მომაყვლ სექტემბრამდის. ამის შემდეგ ასისტენტებმაც განაცხადეს, რომ რადგანაც სტუდენტებმა სწავლა შეწყვიტეს, ჩვენც შეუძლებლათ მიგვაჩნია განვაგრძოთ ასისტენტობის მოვალეობის აღსრულება.

◆ იმავე ფრანგული გაზეთის სიტყვით, რუსეთის მინისტრებს ხალხის დროზე დასამგიდებლათ, განზრახვა აქვთ ჩქარა განახორციელონ ის რეფორმა, რომელიც 18 თებერვლის რესკრიპტში არის დაპირებული, რომელიმე თვის განმავლობაში განისაზღვრება, თუ ვისგან უნდა შესდგეს ის კომისია, რომელმაც საშინაო მინისტრის თავმჯდომარეობით უნდა შეუდგეს საერო კრების მოწვევის საქმის მოწყობას. კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ ერობათა და ბროვინციის ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, და აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს ზოგიერთი წევრები. კომისია შეიმუშავებს ბრაექტს სახალხო წარმომადგენლების ამორჩევის და სახალხო წარმომადგენლების კრების ფორმის შესახებ. როგორც ფიქრობენ, სახალხო წარმომადგენლების არჩეულები ორი თვის შემდეგ უნდა მოხდესო. ფიქრობენ აგრეთვე, რომ რუსეთში ორი პალატა იქნება, რომელთაგან ერთი ხალხისაგან იქნება არჩეული, მეორეს კი იმპერატორი დანიშნავს. ეს მეორე პალატა რამდენიმეთ დღევანდელი სახელმწიფო საბჭოს მსგავსი დაწესებულება იქნება, და მას მხოლოთ სათათბირო ხმა ექნება, ე. ი. ისეთი როგორიც დღეს აქვს სახელმწიფოს საბჭოს. თუ რა უფლება ექნება ხალხის მიერ არჩეულ პალატას, ამის შესახებ სხვადასხვა აზრი ტრიალებს, მაგრამ ყოველივე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ თვითონ ხალხი რას მოითხოვებს. ხალხის სურვილი კი ის არის, რომ დღევანდელ წესწყობილებას ბოლო მოეღოს და სახელმწიფო საქმეებს მხოლოთ ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები განაგებდენ. (რ. ვ...)

◆ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა უმრავლესობამ 25 თებერვლის სხდომაზე საბოლოოთ ის აზრი გამოთქვა, რომ სწავლის გაგრძელება შეუძლებელია; ამგვარივე აზრი გამოთქვეს პეტერბ. ტექნოლოგიურ ინსტიტუტის პროფესორებმაც.

საერო თუ დამფუძნებელი კრება?

დიდი ხანია რუსეთისა და ჩვენებური პრესა ეგრეთ წოდებულ საერო კრებაზე ლაპარაკობს. ბევრი მათგანი დიდ იმედსაც ამყარებს ამ კრებაზე, მაგრამ საბოლოოთ ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული რა იქნება. მართალია, ყველა და ყველგან დარწმუნებულია, რომ რამე უნდა იქნეს, რამე უნდა მოხდეს, რომ დღევანდელი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია, რადგან თვით ჩვენი „ბატონ-პატრონი“ ბიუროკრატიაც დარწმუნდა ცვლილების აუცილებლობაში. მაგრამ როგორი იქნება ეს ცვლილება, ან რომელი მხრიდან მოვა,—აი საყურადღებო კითხვა. მეტათ საკვირველი მიმდინარეობა მიიღო სახელმწიფოს შინაურმა ცხოვრებამ. ძნელია ორი ან სამი ფაქტი აღნიშნო კაცმა ისეთი რომ ერთი მეორეს სავსებით ეთანხმებოდეს, ხოლო მეტათ ადვილია თვით ერთსა და იმავე განცხადებაში და დაპირებაში აუარებელი წინააღმდეგობა აღმოაჩინო. აიღეთ რომელიც გინდათ ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვანი მოვლენები ჩვენი ოფიციალური ცხოვრებიდან გასული წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული და დარწმუნდებით ამაში. თავ. სვიატოპოლკ-მირსკის „ნდობის“ პოლიტიკასა და პრესის შელავათიანობას თან სდევდა პრაქტიკულათ სრული უნდობლობა და მრავალი პერიოდული გამოცემის დასჯა და შეჩერება. 12 დეკემბრის მაუნიფესტს—იმა-

ვე რიცხვიდან გამოცემული მთავრობის განცხადება; მასვე 9 იანვარი პეტერბურგში, გენერალ-გუბერნატორობის თანამდებობა, ბევრი მწერლის და საზოგადო მოღვაწის „მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“ ცხოვრებაზე მოწყვეტა და სხ. და სხ. კიდევ უფრო თვალსაჩინო მაგალითები შეგვეძლო მოგვეყვანა თვით ერთ მოვლენაში მოქცეული წინააღმდეგობისა და, დამერწმუნეთ, ბევრი ძებნა აღარ დაგვჭირდებოდა, მაგრამ დავკმაყოფილდეთ ერთით. ამ დღეებში დეპეშამ გვამცნო, რომ შიდლოვსკის კომისიამ, რომელიც მუშათა მდგომარეობას ირკვევდა მუშათა დასამშვიდებლათ, თვით მუშებთან ლაპარაკი არ ისურვა და არ მიიღო ისინი, რადგან მათთან საუბარი მის პროგრამაში არ შედის თურმე. აი, ასეთია დღევანდელი ცხოვრების მიმდინარეობა. და არც შეიძლება სხვანაირი იყოს, რადგან ყოველივე ბრძოლის შედეგია, იმ ბრძოლისა, რომელიც ძველსა და ახალს შორის ხდება და სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათი აქვს მიღებული. ძველი ყოველ ღონეს ხმარობს რაც შეიძლება ნაკლები დაუთმოს ახალს, თუ ეს დათმობა აუცილებელი გახდა. ახალი კი... მაგრამ არა, ამაზე ქვევით. აი ერთი ამ დათმობათაგანია უკანასკნელი დაპირებაც „რჩეულ პირებთან“ სახელმწიფო საქმეებზე ბჭობის შესახებ. მართალია, ჯერ არ ვიცით ვინ იქნება რჩეულ პირებათ ცნობილი, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ამ რჩეულთ რაც შეიძლება ნაკლები უფლება მიენიჭებათ. ამ მოქმედების პირველი აქტიდან ცხადია ისიც, რომ „რჩეულთ“ მხოლოთ რჩევის ხმა ექნებათ; თვით რჩეულთა მოწვევის შესახებ კი ჯერ კიდევ ბჭობა და თათბირი უნდა გაიმართოს, და ვინ იცის როდის მივა სათათბიროთ მოწვეული ორგანო რამე განსაზღვრულ დასკვნამდე.

მაინც, ადრე თუ გვიან ეს კითხვაც გამოირკვევა, და საჭიროა გავითვალწინოთ, რას მოგვცემს „საერო კრება“ (ჯერ ეს სიტყვაც არ არის ნახმარი), თუ იგი იმ სახით მოგვეველინა, როგორსაც რუსეთის ისტორია იცნობს, და აგრეთვე ისიც, თუ რა ნაირი კრება და რა უფლების პატრონია საჭირო, რომ გადაჭრას ცხოვრების მიერ სფინქსიქით წამოყენებული კითხვა ძველის ყოფნა-არყოფნისა.

რუსეთის ისტორიამ იცის რამდენიმე მაგალითი საერო კრებისა, რომელთა უმრავლესობას მხოლოთ სათათბირო ხმა ქონდა და ხშირათ მათი დადგინილებანი უყურადღებოთაც რჩებოდა. თვით ამ კრებებს შემთხვევითი ხასიათი ქონდა. მეფე, თუ საჭიროთ დაინახავდა, მოიწვევდა მათ იმ სახით, როგორიც ამ კერძო შემთხვევისთვის იქნებოდა ცნობილი საჭიროთ და იმდენსავე უფლებას მიანიჭებდა, რამდენიც შესაძლოთ მიაჩნდა. თვით კრება შედგებოდა უმეტეს შემთხვევაში „წარჩინებულთა“ და „რჩეულთაგან“. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ერთი ასეთი კრება ერის წარმომადგენელი არ ყოფილა. აქ ადგილი ქონდათ მხოლოთ მეფის ხელქვეითთ, მოხელეთ, მაგრამ რადგან მოხელეობა იმ დროს (მე-16 და მე-17 საუკ.) წოდებების მიხედვით იყო განაწილებული, საერო კრებებსაც წოდებრივი ელფერი ედებოდა. ნამდვილათ კი „წოდებათა წარმომადგენლობა“ რუსეთის ისტორიამ არ იცის, თუმცა ზოგიერთნი მკვლევარნი ამ უკანასკნელს ადარებენ რუსეთის საერო კრებას, ნამეტურ მე-17 საუკუნეში მომხდართ. რით აიხსნება ასეთი მოვლენა—სხვა კითხვაა, მაგრამ ფაქტი კი ასეთია და ამიტომ დიდათ შემცდარია ყველა, ვინც დღესაც ხალხის უფლების დასაცველათ ამ კრებებზე უთითებს. საერთო და საყურადღებო ამ კრებებში მხოლოთ ის იყო, რომ ისინი თითქმის ყოველთვის ისეთ გაჭირვებულ ხანაში ხდებოდენ და ისეთ კითხვებზე ბჭობდენ, რომელთა გადაწყვეტა იმ დროის მთავრობას საკუთარი ძალღონით არ შეეძლო. ასეთი შემთხვევები იყო მაგალითათ რომელიმე ქვეყნის შემოერთება, მეფის არჩევა, როცა ერთი საგვარეულო გადაშენდა, საერთო სამართლის შედგენა, და აი ამ მხრით ეს კრებები წარმოადგენენ უცილობელ საბუთს იმისას, რომ მთავრობას (დღეს ბიუროკრატიას) არა თუ დღევანდელ რთულ პირობებში, წინანდელ უფრო მარტივშიაც, საკუთარი ძალ-ღონით არ შეეძლო ქვეყნის მართვა, როგორც საჭირო იყო და, თუ არსებითათ არა, ფორმალურათ მაინც საჭიროთ თვლიდა ხალხის, ერის შეკითხვას და მისგან დასტურის მიღებას.

როგორც ვთქვით, ეს რაღაც პრიმიტიული სახე იყო წოდებათა კრებისა, მაგრამ, წარმოვიდგინოთ, რომ იგი სწორეთ ისეთი წოდებათა წარმომადგენლობა იყო, როგორსაც ევროპაში ვხვდებით, განა მაშინაც შესაძლებელი და საპატიებელია აქით მივაქციოთ ჩვენი თვალთახედვის ისარი დღეს? რასაკვირველია, არა. მართალია, რუსეთში დღესაც არსებობს წოდებები, რომელთა უარყოფა ვერაფრით ვერ მოუხერხებია ბიუროკრატიას, რადგან ეს მისთვის ჯერ კიდევ ხელსაყრელია, როგორც განსხვავების და განცალკევების გამამტკიცებელი საზოგადოებაში, მაგრამ საზოგადოების ასეთი წყობა დღეს უკვე მოკლებულია რეალურ საფუძველს. დღეს საზოგადოება კლასებათ არის დანაწილებული, ამათ შორის არის გამწვავებული ბრძოლა, ეს ამოძრავებს რუსეთის ცხოვრებას და არა წოდებათა განწყობილება, რომელიც ფეოდალური ხანის დროგადასულ ნაშთს წარმოადგენს და მხოლოთ თვითმპყრობელი ბიუროკრატიის მფარველობით ინახავს თავს.

აქედან აშკარაა, რომ თუ მომავალი „რჩეულთა კრება“ წოდებრივ პრინციპზე იქნა აგებული, იგი ვერ იქნება ერის წარმომადგენელი, ვერ გამოთქვამს რუსეთის ხალხის გულის ტკივილებს, ვერ შეძლებს იმ საჭიროებათა წამოყენებას, რომელთა გადაჭრა აუცილებელია და კიდევ უფრო ნაკლებათ შეძლებს ამ კითხვების ისე გადაწყვეტას, როგორც ეს საჭირო და სასურველია. ვერ შეძლებს, რადგან, როგორც ზევითაც ვთქვით, წოდება ვერ გამოხატავს ხალხის აზრს და მისწრაფებას. მეტათ შორს შეტოპა რუსეთმა კაპიტალისტურ წყობილებაში, და ფეოდალური და ბატონყმური ხანის ორგანიზაცია აღარ შეეფერება მის ცხოვრებას, ხოლო ყოველივე ცხოვრებას ჩამორჩენილი და დროს გადასული უნდა უარყოფილ იქნას. მომავალი კრების პირველი საქმეც სხვათა შორის, თუ კი ამ კრების მიზანი შინაური ცხოვრების მოწყობაა, ის იქნება, რომ ამ შეუფერებელი ჩარჩოდან გამოიყვანოს ხალხი, ე. ი. წოდებათა უარყოფა. მაშ როგორი უნდა იქნეს მომავალი კრება, რომ მან შეძლოს ცხოვრების მიერ წამოყენებული კითხვების გადაჭრა? ამაზე შემდეგ.

ნ. ელიავა.

ჭ უ ჩ ა ზ ე.

ზამთრის ცივი ღამე არის,
ცაზე არ ჩანს ბადრი მთვარე;
ჭარიშხალი დაზუზუნებს,
კვნესის, გმინავს არე-მარე.
ქოხები ძილს მიცემია,
დიდ დარბაზში ლხინი არი:
როიალი ჰექს და გრგვინავს,
აქ ცეკვაა, იქ—ხარხარი...
გარეთ, იქვე კედლის ძირას,
სიმთვრალისგან ბრუ—დასხმული,
ტანჯვის შვილი გდია, ძინავს,
საცოდავათ მოკრუნჩხული.
სიზმარშია. თვალ-წინ უდგას
წარსული და აწმყო მწარე,

და ძილშიაც ცრემლებს აფრქვევს,
არ შორდება სიმწუხარე.
ბოდავს: „შორს, შორს, ნუ მოდიხარ
შე სულხავო, მყრალო მგელო,
რომ შემჭამო ძვლათ ქცეული,
რას შეიძენ საძაგელო?!
ჩამომეხსენ შენც, დარაჯო,
დეე, ვეგდო აქ ბედკრული:
ქუჩის ნაშობს, ქუჩაზედვე
ამომხდეს მე ბარემ სული!“
და, სიცივით გათოშილი,
ძიგძიგებს და ცრემლათ დნება.
ქარიშხალი თავს დაღმუის,
თითქო ამას ეუბნება:
ოხ, ბედკრულო, აღსდეგ, აღსდეგ,
გაიღვიძე, გამოფხიზლდი,
განთიადი უკვე მოჩანს,
ცასა ფარავს მხოლოთ ბინდი;
აწ საცაა მზეც ამოვა,
სხივებს მოფენს არე-მარეს
და გაგითბობს გაყინულ გულს,
ცრემლს შეგაშრობს თვალზე მწარეს!

ვ. რუხაძე.

ფელეტონის მაგიერი.

სული მწარეა!—აფსუს ოინო!—„სიტყვა“ სხვაა, საქმე სხვაა!—
დიდი მადლობელი ვარ, შენ დაგენაცვლე კისერში!

ძველი დრო,—წუნარი, კეთილი, აუშფოთებელი ძველი დრო მოკვდა... მოკვდა, მარა ჯერ არ დაუსაფლავებიათ და მიცვალებული საზარელის, დაღმეჭილი სახით, უსიცოცხლო, ფართოთ დაღებული თვალებით, მწარი, გაქვავებული ღიმილით აქვე გდია, იხრწნება; იხრწნება და მისი სიმყრალე ყველასათვის საგრძნობელია, ყველა ცდილობს რამენაირათ მალე ჩაუძახონ შავ სამარეში, ან გადაათრიონ მაინც სადმე საზარელი მიცვალებული.

მარა არიან ისეთებიც, რომელთაც ბევრი კარგი რამ ახსოვთ ნეტარ-ხსენებული ძველი დროისა; ესენი მწარეთ დაქვითინებენ მის ლეშს. იქნებ ფიქრობენ ცრემლებით გამოაფხიზლონ?!. გვიან-ღაა! ძალიან მცირეა ასეთ ერთგულ დამტირებელთა რიცხვი და დღითი დღე კლებულობს.

გაიხედავ და... უცებ ერთი ასეთთაგანი ციბრუტივით მოტრიალდება, ამძორებულ ლეშს ზურგს შეაქცევს და ცხვირზე ხელ-მოჭერილი და „ფუი-ფუის“ ძახილით გარბის... გარბის უკან მოუხედავათ.

ხომ გაგიგონია იგავი, ლომი რომ დაუძლურდა და ვირმა წიხლები დაუშინა.

ან კი რაღას უნდა მოელოდენ უსულო გვამიდან?

„სული მწარეაო“ ნათქვამია, „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო!“

ასე მოსდით ხოლმე ძველი დროის მოტრფიალეთ.

სწორეთ ასე მოუვიდა ჩვენ სამღვდელოებასაც: მან იგრძნო, რომ საქმე ცუდათ მიდის, რომ „მწყემსნი კეთილნი“ უსამწყსოოთ რჩებიან, რომ აფორიზმი „სამკალი ბევრია, ხოლო მომმკალი ცოტა“ გადაბრუნდა და ახლა უკუღმა ითქმის, იგრძნო უფრო მუცლით და კუჭით, ვინემ გულით და გონებით და შეკრთა.

„მშვიდობით, სპანო ჯილოსანნო!“

ეს ხომ მეორეთ მოსვლის ნიშანია! ეს ხომ აღსრულდა საღვთო წერილის სიტყვები: „მოიწივნენ თქვენდა დღენი ბოროტნი და იყვნენ კაცნი თავის მოყვარე უფროს, ვიდრე ღვთის მოყვარე. აქვნდეს ხატი ღვთის-მსახურებისა და ძალსა მისსა უარყოფდენო“.

და გადაწყვიტა სამღვდელოებამ შეკრებილიყო თავის არა სასიამოვნო მდგომარეობის შესახებ მოსალაპარაკებლათ და, ვინ იცის, თავისი მოთხოვნილებებიც წარედგინა, სადაც ჯერ არს...

„ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ქვეყნათ და ზეცათ, რაც ადამიანთ სიზმრათაც არ მოვლინებიათ!“

გადაწყვიტა, მარა გადაწყვეტილება გადაწყვეტილებათ ღა დარჩა, რადგან ნება-რთვა არავინ მიცა მას. და დარჩა, ჯერჯერობით, ხმა მისი „ხმათ მღაღადებლათ უდაბნოსა შინა“.

რას აპირობენ ახლა ხუცები?—ამას მომავალი გვიჩვენებს.

სადაც ხუცებმა კი შეიგნეს ახალი ვითარების მნიშვნელობა და გაიბერტყეს მტვერი ანაფორის კალთებისაგან, აზნაურ ანტონ დუმბაძეს რაღა მოუვიდა: რაფერ დიემართა აი „საჯაყი საქმე?“

აზნაური ანტონ გამოცდილ კაცათ ითვლება გურიაში, მას სამოცდა-ათზე მეტი წელიწადი კიდია ზურგზე და რაფერ მოხდა, რომ ასეთ სანამუსო საქმეში ვინცხა „ყაზილარს“ ენდო?

შე მამაცხონებულის შვილო, მასე თუ გინდოდა, მივცემდი ვინმე შენისანა კეთილშობილს ერთ ოცდახუთიანს და იმ რევოლვერს ხელში და ჰაიდა! მორჩა და გათავდა!

საქმესაც შეასრულებდა და, თუ ვინიცობაა მახეში გაებმებოდა, ნამუსსაც შეგინახავდა.

მაგისანა საქმეები კი მოურთავს, ვეჟო, კაცს და რაღა ამ სიბერის დღეს გვაჭამე სირცხვილი! ჩემმა მტერმა თქვა აი! გავცინებენ, თვარა სხვას შენი ჰირი წაუღია!

„სირცხვილ-ნამუსზე“ ჩამოვარდა ლაპარაკი და ძალაუნებურათ ბ-ნი „სიტყვა“ და მისი საპარასკეო წერილი მომაგონდა.

ბ-ნი „სიტყვა“ გურიაში ბრძანდებოდა: გურულები მოინახულა, „გამარჯობა“ უთხრა მათ, „მშვიდობით“ უთხრეს მას და თფილისში დაბრუნდა, რათა განეგრძო თავის მოღვაწეობა „ცნობის ფურცელში“ და განაგრძობს კიდეც, მარა როგორ განაგრძობს?

ჩვეულებრივათ, როგორც მას შეფერის.

როგორი შთაბეჭდილება გამოიტანა მან გურულების მოძრაობიდან?

ჩვეულებრივი, როგორიც მას შეფეროდა.

თურმე, ნუ იტყვი, გურულები „საუკეთესო ნაციონალისტები“ ყოფილან და მათი მოძრაობაც ნაციონალური ნიადაგზე აღმოცენებულა!

„საქართველოს გაუმარჯოსო“ რაღა!

თუ გურულები მართლა ნაციონალისტები არიან და ამასთან „საუკეთესო ნაციონალისტებიც“ ვურჩევთ ჩვენ ნაციონალისტებს ბ. „სიტყვიანა“ წაბრძანდენ გურიაში თავის მიმართულების გასამტკიცებლათ.

რატომ გამოთქვა ბ. „სიტყვამ“ ასეთი ახალი აზრი? რა მინდაო?

ამაზე თვით გურულები ჩემზე უკეთ უპასუხებდენ!

„ბედაურს ჰედდენ და გომბიე (კომფაშო) ფეხს აბზეკდაო“, მარა კმარა!

„სიტყვა“ სხვაა—საქმე სხვაა.

ბ. „სიტყვის“ სიტყვა კი სიტყვათაც არ დირებულა!

კარგი წერილი გაუგზავნიათ აგრეთვე ჩვენ „რაინდებს“ გაზ. „რუსი“-ს რედაქციაში. მე ვამბობ კარგი მეთქი, რადგან მხოლოთ იდეა მაქვს სახეში; რაც შეეხება წერილის რედაქციას, მე შემეძლო დავხმარებოდი მათ და შემდეგი, უფრო შესაფერი რედაქცია მიმეწოდებია:

გაზეთ „რუსის“ რედაქციავ, „სვე-სრულო, განგებიანო“! ქართველ რაინდთა გრძნობები ფერხთა ქვეშ გეგებიანო! შენ ხარ ნუგეში, იმედი ქართველის მომავალისა, შენ მკერდზე შეეძელთ გადახდა ნაციონალურ ვალისა.

მივხედით ჩვენ ვარამს ბიჭები: მოგვბეზრდა ხვრინვა-ძილია. უმდაბლეს მადლობას გიძღვნით გიგო, ფილიპე, ილია.

შენი წყალობით ავხადეთ საცო ჩვენს მეტყველ ბაგეთა; დრო გაგვიღიმებს, მოგართმევთ: ოქროს, ვერცხლის, სანოვაგეთა.

კვლავც ნუ დაგეტოვებ, განაგრძე მჭევრი წერილის წერაო: თქვი თუ კვლავ ღვივის, არ ქრება ივერიელთა კერაო. მოგვხედე, შეგვიწყალევი, ნუ გაგვხდი ღირსი გინების, ასემც იესო გწყალობდეს, ვარდები მოგეფინების.

ამირან მიჯაჭულია, კორტნის ყორანი და ჭორი: ქართველი პრისტავი გვინდა, ქართველი გუბერნატორი. გვითხოვეთ მინისტრს, მთავრობას ქართველი ყაზახ-რუსები, ეპისკოპოსი. ეკზარხი, დიაკვანი და ხუცები!

ჩვენ ბეჩავნი ვართ, არ გვაქცევს მთავრობა ყურადღებასა, შენ გვიშველამდგომლე, ძლიერო, შეგასხამთ ქებათ-ქებასა!

თაგუნა.

მუშათა კავშირები.

(იხ. „მოგზ.“, № 7).

I.

ეს იყო დრო სამრეწველო კრიზისებისა; აუარებელი მუშა ხალხი უმუშევრათ დახეტიალობდა. ამ ხალხმა მოინდომა არსებული წყობილების წალეკვა, განადგურება... მაგრამ მან მხოლოთ რაოდენიმე ქარხანა-მაღაზიები გაანადგურა, წასალეკს კი თხოვნა წარუდგინა. ეს თხოვნა ანუ პეტიცია, როგორც უწოდებენ, შეიცავდა შემდეგ მუხლებს: 1) ყოველწლიური პარლამენტი; 2) ამორჩევის საყოველთაო უფლება; 3) დახურული კენჭის ყრა; 4) პარლამენტის წევრის ასარჩევათ ცენზის მოსპობა; 5) დეპუტატებს ჯამაგირი და 6) თანასწორი ამომრჩეველი ოლქები. ვერც თავგამეტებულმა ბრძოლამ, ვერც რიცხვ-მრავლობამ ეს მუხლები ვერ განახორციელეს. კიდევ მეტი ძალა ყოფილა საჭირო, ძალა მუდმივი, გაუთიშველი, ბრძოლა ხანგრძლივი, მონებაში უფრო ნათლათ შემუშავებული საჭიროებანი, გათვითცნობიერებული ინტერესი, მხოლოთ ყველაფერი ეს ნაკლებათ ჭონდათ მებრძოლთ, დროს ჯერ კიდევ ვერ შეეძინა ასეთი ძალა და ჩარტიზმიც ათი წლის ბრძოლის შემდეგ ჩაქრა. ამ ჩაქრობას ხელი შეუწყო წარმოების გაცხოველებამ. მრავალმა მუშამ სამუშაო მოიპოვა, ბრძოლის აღმძვრელი მიზეზი შესუსტდა და დროებითი მოელენით გამოწვეული უკმაყოფილება უდროოთ განელდა. სამუშაოთ დამდგარი მუშები თავისი დღიური ვარამის მოწესრიგებას შეუდგენ, ჭუჭიდან ნაწილ-ნაწილათ ქარხნებში შედენილმა ხალხმა, არსებული პოლიტიკური წყობილების შებრძოლებას თავი დაანება და ისევ ქარხანაში მექარხნესთან კინკლაობა არჩია. ამნაირათ მოიმაგრეს ფეხი პროფესიონალურმა კავშირებმა და „მუშათა საერთო კავშირი“ მიიღწეს. გაფიცვებს მორიგებითი მოლაპარაკება არჩიეს და ასე გასინჯეთ, მექარხნეებთან მშვიდობის კავშირის შეკვრაც კი მოინდომეს. ამ მშვიდობიანობის საჭიროებას ისინი ასაბუთებდენ ამნაირათ: 1) ეს საჭიროა მისთვის, რომ საზოგადოების პატივისცემა და ყურადღება დავიმსახუროთ; 2) მექარხნისაგან იმდენათ არ არის დამოკიდებული სამუშაო ქირის მომატება, რადგან სამუშაო ქირა დამოკიდებულია ბაზარზე. თუ ბევრია სამუშაოს მაძიებელნი, უთუოთ ნაკლები უნდა იქნას ქირაც, თუ ნაკლებია პირველი, სამუშაო ქირაც მოიმატებს. ამიტომ, ბჭობდენ ისინი, ჩვენ უნდა ვეცადოთ ბაზარზე ვიქონიოთ გავლენა და ზედმეტი მუშები სადმე სხვაგან გავისტუმროთ. ამისათვის საჭიროა ორი რამ: 1) ბაზრის მდგომარეობის მუდამ ცოდნა და 2) ზედმეტი მუშების სხვაგან გასტუმრება. პირველისათვის უნდა მოწყობილიყო შრომის ბიურო, სადაც უნდა შეკრებილიყო ბაზრის შესახებ საჭირო ცნობები, მხოლოთ მეორეს განსახორციელებლათ საჭირო იყო საკმაო თანხის შედგენა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მუშისთვის სამგზავრო ფულის მიცემა. ამასთანავე მათ უნდოდათ უზრუნველ ეყოთ მუშები ავათმყოფობის და უბედურ შემთხვევების დროს; ამიტომ მუშების დაზღვევა თავის მოღვაწეობის უმთავრეს მუხლათ გაიხადეს; ასეთი მოღვაწეობა, რასაკვირველია, დიდ ფულს საჭიროებდა; დიდი ფულის გაღება მხოლოთ დიდი ქირის ამღებთ შეეძლოთ; ასეთები იყვენ ნასწავლი, დახელოვნებული მუშები, მხოლოთ მათ შეეძლოთ დიდი საწევრო ფულის გადახდა; ამნაირათ ტრედიუნიონები მუშათა შეძლებული ნაწილის კავშირებს წარმოადგენდენ. ერთი სიტყვით, გამოიყო მუშათა არისტოკრატია და პროფესიონალური კავშირებიც „არისტოკრატიულ“ დაწესებულებათ გადააქცია. მუშათა უმრავლესობა, მწარმოებელთა უღარიბესი ნაწილი კი მოკლებული იყო კავშირების მფარველობასაც და იძულებული იყო თვითვე მოევლო თავისათვის, დაეფარა თავისი პიროვნება. მას სასტიკათ აკრძალული ჰქონდა კავშირებში ფეხის შედგმა, ან კი სად შეეძლო შესვლა მისი ღარიბი ჯიბით?

„ამ კავშირების პროგრამის უმთავრესი მუხლიო“,—ამბობს კულემანი *),—„გაძრომის წინააღმდეგ დაცვა“ იყო; ამ საშუალებით ზედა საფეხურის მუშების მდგომარეობა უზრუნველყოფილ იყო მით, რომ ნასწავლ მუშათა წრეში უსწავლელი ვერ შეივიდოდა, რადგან შესვლისათვის საჭირო იყო მეტათ ძნელი გამოცდა. ამასთანავე იგივე კავშირი უფრო მეგობრულათ უყურებდა სხვა კლასებს“. როგორც ხედავ, მკითხველო, ეს კავშირები თავისი მდგომარეობით მუშათა კლასის მოწინააღმდეგე ჯგუფებს უფრო უახლოვდებოდენ და, რა საკვირველია, რომ ასეთმა კავშირებმა ვერ შესძლეს მუშათა ინტერესების წარმომადგენლობა, ვერ გამოსახეს საერთო ინტერესები, შემოიფარგლეს ვიწრო სამოქმედო ასპარეზი, კმაყოფილდებოდენ ზოგი უმნიშვნელო მოთხოვნილებით, რომელიც მათ მდგომარეობას ვითომდა აუმჯობესებდა და ამასთანავე საერთო პოლიტიკური ბრძოლა, საერთო უფლებების მოპოებისათვის ბრძოლა სრულიად განდევნეს პროგრამიდან. ამიტომ მათი საქმიანობა კანცელიარულ მიწერ-მოწერას წარმოადგენდა, მათი საქმეების მწარმოებელნი ნამდვილი მოხელეები გახდენ.

ავიღოთ „მანქანის მკეთებელთა შეერთებული კავშირი“, რადგან ეს კავშირი უფრო ტიპიურია, განვითარებული და მომქმედი. ამ კავშირის გამოჩენილი ხელმძღვანელნი იყვენ ვილიამ ნიუტონი და ვილიამ ალანი. უპირველეს ყოვლისა კავშირი ცდილობდა, რომ კანონსა და კაპიტალისტებს პროფესიონალური კავშირები მუშათა კლასის ინტერესების წარმომადგენლებათ აღეარათ. რასაკვირველია, ეს არაფრათ ეპიტნავათ კაპიტალისტებს, რომელთაც ვერც კი წარმოედგინათ, თუ რა მოლაპარაკება უნდა ჰქონოდათ მათ ვილაც მუშების წარმომადგენლებთან. ისინი ამას არ იყვენ ჩვეულნი და ასე-

*) იხ. მისი „პროფესიონალური მოძრაობა დ.-ევროპაში“, გვ. 11.

თი არა ჩვეულებრივი წინადადება ბრაზს გვრიდა, საბრძოლველათ იწვევდა. მაგრამ ბოლოს კაპიტალისტებმა ისევ ასეთი მოლაპარაკება არჩიეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოულაპარაკებელი წინააღმდეგობა მოელოდათ, მხოლოთ ეს კი მათთვის ყოველთვის უფრო საშიშია. ჯერ აიძულეს კაპიტალისტები მოესპოთ ის საზიზღარი ხელის მოწერა, რომლითაც ისინი აიძულებდენ მუშებს კავშირიდან გამოსვლას. ამის შემდეგ მათ წარმომადგენლობაზედაც შეთანხმდენ და შრომის პირობების კოლექტიურათ შემუშავებამ გაიმარჯვა. მიუხედავათ ამ მოსარიგებელ დაწესებულებისა, კლასიურმა არსებითმა წინააღმდეგობამ სწრაფათ იჩინა თავი და აიძულა კავშირი თავისი მოღვაწეობა ბრძოლით დაეწყო. ლონდონის აღმასრულებელმა კომიტეტმა ჩამოკრიბა ყველა კავშირებისაგან აზრი და რა დარწმუნდა, რომ ყველანი შეთანხმდენ მის წინადადებაზე, დაუყოვნებლივ წარუდგინა მექარხნეებს; წინადადების თანახმათ უნდა მოსპობილიყო ნაჭრობით, ნარდათ მუშაობა და დანიშნულ დროზე მუშაობის გადაცილება. კაპიტალისტებმა მუქარით უპასუხეს: როგორც კი სადმე გაფიცვა დაიწყება დაუყოვნებლივ ყველა მანქანის ქარხნის მუშებს დავითხოვთო. მუშებმა ისევ მორიგება მოინდომეს და სამედიატორო სამართალი მოითხოვეს, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, უარი მიიღეს. ბრძოლა დაიწყო და გაგრძელდა სამი თვე. ამ ბრძოლამ საზოგადოების ყურადღება სავსებით მიიპყრო; მრავალი შემოწირულებანი მოუვიდა კავშირს, მაგრამ საბოლოოთ მაინც კაპიტალისტებმა გაიმარჯვეს. ამ დამარცხებამ მთლათ ვერ გაანადგურა ძლიერი კავშირი, წინააღმდეგ მან ზნეობრივი გავლენა მოიპოვა, ის ყველასათვის სამაგალითო ორგანიზაცია შეიქნა და მთელი ოცის წლის განმავლობაში თითქმის ყველა კავშირები მისი წესდებით და პრინციპებით ხელმძღვანელობდენ. „მანქანის მკეთებელთა შეერთებულმა კავშირმა“ შეიმუშავა ახალი ტიპი მმართველობისა: მან, შემთხვევით მოხელეების ნაცვლათ, აირჩია მუდმივი მოხელეები და დაუნიშნა შესაფერი ჯამაგირები; გადააბა გაფანტული ნაწილები ერთ ცენტრში, აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი და დაარსა საერთო კასა; შემოიღო დაწვრილებით ანგარიში და ხშირი კრებები. 1861 წელს კავშირს 22 ათასი წევრი ყავდა და კასაში 73,398 გირვანქა სტერლინგი ქონდა (7 მილიონ მანეთამდე). ეს მით აიხსნება, რომ კავშირს უმთავრესათ „საურთიერთო დამხმარებელი კასის“ ხასიათი ქონდა: დაზღვევის საქმე მათი მოქმედების უმთავრეს მუხლს წარმოადგენს; ამან მიიზიდა მრავალი წევრი და მით კავშირის ქონებაც გაადიდა; მაგრამ სამაგიეროთ ამით სრულიად ეკარგებოდა მას მებრძოლი ორგანიზაციის სახე, მხოლოთ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ პროფესიონალური ინტერესების დასაცველათაც შრომისა და კაპიტალის დაუცხრომელი წინააღმდეგობა უმეტესათ ბრძოლას იწვევს ამ ორი ეკონომიური კატეგორიების წარმომადგენელთა შორის, მაშინ ცხადი იქნება, რომ ეს ორგანიზაცია თავის ვიწრო დანიშნულებასაც კი ვერ ასრულებდა, საერთოთ პროლეტარიატის დაცვა კი მისთვის სრულიად შეუძლებელი იყო. განვაგრძოთ ისტორია. როგორც ვთქვით, ოცი-ოცდახუთის წლის განმავლობაში კავშირების უმეტესი ნაწილი იმავე ტაქტიკით და პრინციპებით ხელმძღვანელობდა ე. ი. უმთავრესათ დაზღვევის საქმეს აწესრიგებდა, კაპიტალისტებთან მორიგებით საქმის გათავების მომხრე იყო, განდევნილი ქონდა პროგრამიდან პოლიტიკური მოთხოვნილებანი და გადაუბიჯებელ საზღვრათ დაედვა სწავლულ და უსწავლელ მუშათა შორის, პლუტოკრატიული განცალკევება, მშვიდობიანი მოქმედება, არსებულ წესწყობილებაში ცხოვრების ზოგიერთი პირობების გაუმჯობესება და ყოველნაირი პოლიტიკური მოქმედების უარყოფა,—აი მოკლეთ „ძველი ტრედ-იუნიონიზმის“, (როგორც მას უწოდებენ) დამახასიათებელი ნიშნები. მე 70 წლებში კავშირებს შორის უთანხმოება იჩენს თავს. ეს უთანხმოება ჯერ ეკონომიურ კითხვას ეხებოდა: სამუშაო ქირას. ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ სამუშაო ქირა უნდა შეესაბამებოდეს საქონლის ფასს; როცა უკანასკნელი მოიმატებს პირველმაც უნდა იმატოს, როცა საქონლის ფასი იკლებს სამუშაო ქირამაც უნდა იკლოს; ამ სისტემას ეკონომიურ მეცნიერნი „მოსრიალე კლდის“ სისტემას უწოდებენ. მხოლოთ მოწინააღმდეგების აზრით სამუშაო ქირა ყოველ შემთხვევაში იმდენი უნდა იყოს, რომ მუშას ყოფნიდეს საცხოვრებლათ; საქონლის ფასის აწევ-დაწევას კი სულაც არ უნდა შეუფარდოთ სამუშაო ქირა. მეორე, უფრო საყურადღებო, კითხვა იყო; უნდა ჩაერიოს თუ არა სახელმწიფო კანონმდებლობა ისეთ კითხვებში, რომელიც მუშათა ინტერესებს შეეხება. ერთს უნდოდა სახელმწიფოს დაეკანონებია 8 საათის სამუშაო დღე, მეორე კი ამის წინააღმდეგი იყო. მხოლოთ ყველაზე უფრო მწვავე კითხვა მათთვის იყო შემდეგი: პროფესიონალურმა კავშირებმა რაზედ უფრო უნდა იზრუნონ: შრომის პირობების გასაუმჯობესებლათ მიმართულ ბრძოლას გაუწიოს დახმარება, თუ დაზღვევის საქმე მოაწყოს უმთავრესათ? საქმე იმაშია, რომ საურთიერთო დამხმარებელ კასაში ყოველთვის ცდილობენ მიიღონ ისეთი წევრები, რომელნიც უფრო ახალგაზდები არიან, შრომა შეუძლიათ; ერთი სიტყვით, მათი დახმარება ახლო მომავალში საჭირო არ იქნება, მხოლოთ საწევრო ფულის აღება კარგა ხანში შეიძლება. ისე, როგორც დღეს, მაგალითათ კერძო დამზღვევი საზოგადოებანი შვრებიან. მუშების ინტერესების დასაცველათ ასეთი „გამორჩენის“ პოლიტიკა მეტათ მავნებელია; ამ ინტერესების დასაცველათ საჭიროა ყველა მუშები შეერთდენ განურჩევლათ სქესისა, ხნისა და შეძლებისა. ამიტომ შეუძლებელი გახდა ამ ორი შეხედულების ერთათ მოთავსება და „კასის“ მცველნი ცალკე ჯგუფათ გამოიყვენ. ფულიანები გამოეყვენ უფულოებს, შეძლებულები—შეუძლოთ. ამან საოცრათ დაასუსტა კავშირები, მხოლოთ ამასთანავე საფუძველი ჩაუგდო უფრო ცხოველმყოფელ მიმართულებას: არისტოკრატიის პოლიტიკის ბატონობას დასასრული მოუახლოვდა და ცხოვრება ახალ ძალას ჰედდა, ახალ მიმართულებას ამზადებდა ბნელ სარდაფებში. „ძველმა ტრედ-იუნიონებმა“ ერთხელ კიდევ მით ისახელეს თავი, რომ 1882 და 1883 წელს კონგრესებზე საყოველთაო ამომრჩეველი უფლების წინააღმდეგი გახდენ.

ამ კავშირებიდან განდევნილნი მწარმოებელნი კაპიტალთან ბრძოლაში თანდათან იგნებდენ მტკიცე ორგანიზაციის საჭიროებას; ამასთანავე გათვალწინებული ქონდათ არსებული ორგანიზაციების ღირსება—ნაკლულევანება და ამიტომ მათი ორგანიზაციაც უთუოთ განსხვავებული უნდა ყოფილიყო. ასეთი ორგანიზაციების გაჩენა—დამკვიდრებას ხელი შეუწყო რაოდენიმე გაფიცვამ. 1888 წელს ივლისში ლონდონში სპიჩკის ქარხანაში გაფიცვა მოახდინეს ქალებმა და თხოულობდენ, რომ სასტიკი, უდიერი მოპყრობა შეცვლილიყო ადამიანურ, რიგიან განწყობილებით. ქალებმა გაიმარჯვეს. ამავე წელს გაზების ქარხნების მუშებმა შეადგინეს „შავი მუშების“ კავშირი და გაუფიცველათ შეამცირებინეს სამუშაო დღე: 12 საათის მაგიერ 8 საათის სამუშაო დღე შემოაღებინეს. 1889 წელს 12 აგვისტოს დაიწყო შესანიშნავი გაფიცვა „დოკებში“ მომუშავეებისა. ეს მუშები მუშათა უღარიბეს ნაწილს წარმოადგენდენ. მათი რიცხვი მუდამ აღემატებოდა მოთხოვნილებას და კონკურენცია მეტათ ცუდათ მოქმედებდა მუშების მდგომარეობაზე: მცირე ქირა, ბევრი მუშაობა და ისიც მოკლე ხნით

უმეტესათ კი უსაქმოთ დაეხეტებოდენ და სიღარიბით განაწირები გარყვნილების მსხვერპლი ხდებოდენ... მაგრამ ცხოვრება ამათთვისაც კარგი შკოლა გამოდგა, ერთმანერთთან ბრძოლას, ნამდვილ მტერთან საბრძოლველათ შეერთება არჩიეს და შეებრძოლეს კიდეც. კაპიტალისტებმა დაუკლეს დოკში მომუშავეებს სამუშაო ქირა, მხოლოდ 120 ათასმა მუშამ მუშაობაზე უარი განაცხადა და მოითხოვა სამუშაო ქირის მომატება. ეს მრავალ რიცხვოვანი ჯარი სრულიად მოუმზადებელი იყო საომრათ: მათ არც სურსათი ჰქონდათ და არც საკმაო თანხა, რომ ეს სურსათი შეეძინათ. მაგრამ ამ თავგანწირულმა ბრძოლამ, კაპიტალის შეუბრალებელმა უსამართლობამ, შრომის წარმომდგენელთა პატიოსანმა გრძნობამ საერთო თანაგრძნობა გამოიწვია ყველა ქვეყნის მუშებში: ინგლისის მუშათა კავშირებმა ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი მიახმარეს, ავსტრალიის მუშებმა ერთ მილიონი შვიდასი ათასი მანეთი გამოუგზავნეს. მუშათა მებრძოლ რაზმს სარდლათ რავდენიმე მხნე, გონიერი და დაუღალავი მუშა ყავდა: ბერნისსი, ტილეტი, მანი და სხვა. სწორეთ ამ შეტაკებამ დაარწმუნა მუშები, რომ შეერთება ერთათ ერთი უტყუარი იარაღი ყოფილა მშრომელთა ცხოვრების გასაუმჯობესებლათ, რომ ეს შეერთება არ უნდა იყოს შემთხვევითი, დროებითი, არამედ მას მუდმივი, სრული ორგანიზაციის სახე უნდა მიეცეს, რომ მხოლოთ ასეთ ორგანიზაციებს ძალუძს დაიფაროს შრომა კაპიტალის ძალმომრეობისგან და მით მოამზადოს საიმედო ნიადაგი საბოლოო გამარჯვებისათვის. ეს აზრი გონებიდან ცხოვრებაში გადავიდა და დაუყოვნებლივ შექმნეს პირველი კავშირი უსწავლელ მუშებისა. 30 ათასი კაცი მაშინვე ჩაეწერა. გაფიცვა ექვსი კვირის შემდეგ მუშების სასარგებლოთ გათავდა, მხოლოთ ბრძოლაში გამოჩეკილმა კავშირმა დაუყოვნებლივ შეუდგა მებრძოლი ჯარის თადარიგს. ამნაირათ დაიბადა „ახალი ტრედიუნიონიზმი“. ეს კავშირი თავის მიმართულებით სრულიად განსხვავდება ძველისაგან. ღარიბი მუშების კავშირი, რასაკვირველია, წევრებისაგან სულ მცირე საწევრო ფულის თხოულობს. ცხადია ღარიბ კასსას არ შეეძლო ყველა ის მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინა, რომელსაც ძველი ტრედ-იუნიონები აკმაყოფილებენ. მან სრულიად უარყო წევრების დახმარება ავათმყოფობის, უბედურობის, მოხუცებულობის დროს; მან თვისი სამოღვაწეო ასპარეზი შემოიფარგლა, მხოლოთ ამ ფარგალში მოიტანია ისეთი რამ, რომელიც უფრო სამძიმო, საჭირო და საიმედო იყო: შრომის პირობების გაუმჯობესება; ამისათვის კაპიტალისტებთან დაუცხრომელი ბრძოლა სამუშაო დროის შესამცირებლათ და სამუშაო ქირის მოსამატებლათ—აი მიზანი, რომელიც ახალმა კავშირებმა დაისახეს. ამ კავშირების რიცხვი დღითი დღე იზრდება, წევრთა რიცხვი მრავლდება და მათი მოღვაწეობა უფრო და უფრო გონიერ და სასურველ მიმართულებსა ღებულობს. გერმანიის სოციალდემოკრატიულმა მოძრაობამ ამ დღიდან მტკიცე ნიადაგი მოიპოვა მიუკარებელ ინგლისშიაც. აქ მისი გავლენა დღითი დღე იზრდება და მატულობს. ამ გავლენის გასაცნობათ საჭიროა თვით გერმანიის მოძრაობის ისტორია გავიხსენოთ მოკლეთ.

ა. წულუკიძე.

(შემდეგი იქნება).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბევრ შეუსაბამო და ახირებულ აზრს ამოიკითხავთ დღეს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში. ესა და განახლების დრო მოგვაბედნიერა, ჩქარა გაზაფხულიც დაგვიდგება, და ამის გამო ვინ რა წინადადებას იძლევა, ვინ რა პროექტებს იგონებს მომავალი ცხოვრების მოსაწყობათ, და გერ რას: სულ ახალ-ახალ პროგრამებს და გეგმებს გვაწვდიან, და ამით სურთ საზოგადოების ყურადღება დაიმსახურონ, ვითომც ჩვენც გვსჭირდებოდ, ჩვენც ვმაცდინოთ საზოგადოების სასარგებლოთო. ამ საერთო ხორშში მოდიოდ ბ. სიტყვა და კლიმი არდგუგეს საერთო ჭარმონიას. ამ ვაებტრონს ვერ უშველა ვერც ახალმა სიომ, ვერც განთიადის მოახლოებამ, ვერც გაზაფხულმა! ის ისევ ძველ ჭანგზე მდერის, ისევ რადც „ერზე“, „ერთგულებაზე“ ბოდავს. სხვამ რაც უნდა თქვას, მას კი მხოლოთ ეს ორი სიტყვა აგონდება: ერი, ერთგულება! რადც მომჯადოებული ძალა უნდა ჭქონდეს ამ სიტყვებს, რომ ხსენებულ ავტორებს მეტი არაფერი ახსოვთ. უნდა იყოს ერი, უნდა არსებობდეს ერთგულება! თქვენ ტუუდა დაეკითხებით: რა არის ეს ერთგულება, დღითის გულისთვის ერთი მაინც აგვიხსენითო. მას ამის ახსნა არ შეუძლია: ერი ერია, ერთგულება ერთგულებაო, გაბასუნებს და მორჩა და გათავდა. თუ არ გჯერათ, წაიკითხეთ ხსენებული ავტორის წერილი: „რა არ არის გურულების განცხადებაში“, რომელიც გაზ. „ცნ. ფურცლის“ 2759 №-ში იყო დასტამბული. თურმე, ნუ იტყვით, გურულ გლეხებს თავის მოთხოვნილებებში დაეწუებათ ერთგულების მოხსენება, რითაც, რა თქმა უნდა, სასტიკი დანაშაული ჩაუდენიათ ბ-ნ სიტყვის წინაშე. მაგრამ ბ-ნი სიტყვა, როგორც ტაქტიკის კაცი, ბოდიშს ხდის გურულ გლეხებს: მართალია, მათ ეს შეცდომა მოუვიდათ, და შესაძლებელია ვინმემ იფიქროს, რომ „გურული ხალხი ერთგულებას უარყოფდეს, ერთგულების წინააღმდეგი იყოსო“, მაგრამ ეს ასე არ არის: „მართალია,—გვეუბნება ბ-ნი სიტყვა—ეს (ე. ი. ერთგულება) აკლია დღევანდელ მოთხოვნილებებს, მაგრამ არავინ იფიქროს, რომ რაც არ არის განცხადებაში, ის არ არის იმათთან ხალხში. თუ დღეს გურულებმა არაფერი განაცხადეს ერთგულების შესახებ, ეს მხოლოთ გარეგანი, შემთხვევითი მიზეზის ბრალიაო“. ჩვენ არ ვიცით, რას მივაწეროთ ეს სიტყვები: ავტორის მეტიჩრობას, თუ გაუგებრობას! ხალხი თავისი ადამიანური არსებობისათვის იბრძვის, სისხლსა ღვრის, და ბ-ნი სიტყვა გაბრაზულა და მოშიანესავით გაიძახის: იმათ ერთგულება არ მოუხსენებიათო! და მერე რა არის ეს ერთგულება? ავტორის სიტყვით, ეს იგივე ხალხია. მაშ, თუ ეს ასეა, რადა საჭირო იყო ერთგულების ჩაბნევება გლეხების განცხადებაში? არ იყო საჭირო და არც დაუკნებია გურულს ხალხს ეს კითხვა, და ეს სრულებით „გარეგანი, შემთხვევითი მიზეზის ბრალი“ არის, როგორც თქვენ ამბობთ, ბ-ნო სიტყვა! მაგრამ კარგათ ვიცით, თუ რა არის თქვენი განზრახვა და საწადელი! თქვენ გსურთ მშრომელ ხალხს გზა-კვალი აუბნიოთ თქვენი ერთგულებ-ბურჟუაზიულ მიმართულებით. მაგრამ თქვენ ამას ვერაფრ მიაღწევთ. მშრომელმა ხალხმა, მუშებმა და გლეხებმა, კარგათ იციან, თუ რას ნიშნავს თქვენი ერი, ერთგულება და საერთო ნიადაგის ქმნადება. განა ერი დღეს ერთიანს წარმოადგენს, ერთი ინტერესით გამსჭვალულს? განა ერში არ არსებობს მჩაგვრელი და დაჩაგრული, მუდმეფელი და გაუმდეფიდი, ბურჟუა-კაპიტალისტი და პროლეტარი? აბა დაიხსომეთ რომელიმე ერი, რომელიც დღეს არის, და რომელშიაც არ იყოს საზოგადოებრივი განხეთქილება, გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა! გამოტუდით, ბატონო სიტყვა, რასთვის ეხოტინებით, ელოდავებით თქვენ და თქვენიანები მუშა ხალხს! ხომ ხედავთ, რომ ამას თქვენთან საერთო არა აქვს რა და ნურც ის გგონიათ, რომ ქართულ ენის შესახებ დათმებით დატეუდით თქვენ ვინმე! განა მუშა ხალხისთვის საჭირო იმის მტკიცება, რომ მისი დედაენა მისთვის საჭიროა? განა ეს უცხოსთვის თავისთავად არ იგულისხმება! მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რისთვის გაიძახით თქვენ, რომ ქართველი ხალხისთვის საჭირო ქართული ენაო. ისიც გვესმის, თუ რისთვის შესძახით ქუბა გურიის მოძრაობას! ნუ გეწუინებათ კი, რომ აქაც გადაჯვრებით, რისთვისაც გურული ხალხი თქვენ მადლობას არ გეტყვის. ბერიქით მას სრული უფლება აქვს მოგმართოს თქვენ ასეთი კითხვით: სად ბრძანდებოდით თქვენ აქამდის? განა ჩვენი ამბავი მარტო დღეს მოსდწია თქვენამდის? არა და არა. თქვენ წინეთაც გესმოდათ ჩვენი მოძრაობის შესახებ, მაგრამ თქვენ მაშინ სულ სხვა თვალით გვი-

უურებდით. და მერე, რაღაი მხოლოთ ჩვენმა მოძრაობამ გაგახსნათ ასე და დაგაწერიათ შემდეგი სიტყვები: „სწორეთ ახლა იწყებს ერი შეგნებულ არსებობასო“! ნუ თუ მართლა თქვენ გგონიათ, რომ ამ მოძრაობის ბიძინერები საქართველოში მხოლოთ ჩვენა ვართ? ძლიერ შემცდარი ბრძანდებით. გწუხვართ, რომ ასე ნაკლებათ იცნობთ ამ საკანს, რომელზედაც ასე თამამათ წერთო—ა რას გეტყვით თქვენ, ბ-ნო სიტყვავ, გურული გლეხებო!

კლასობრივი წინააღმდეგობა ჩვენში და უცხოეთში.

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც რუსეთში და მასთან ერთათ ჩვენში კაპიტალისტურმა წარმოებამ ფეხი მოიკიდა, მარა მაინც რაც დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში სოციალური ორგანიზმი თითქმის მომწიფდა, ეკონომიურათაც და პოლიტიკურათაც, წარმოების უმაღლეს საფეხურზე ასასვლელათ, რუსეთში ის ამდენათ ნორჩია, რომ ჯერ კიდევ გერ გამომძგრალა გვლიდი ეკონომიური ეხოქის მიერ დატოვებული პოლიტიკურ ტყვიდან. ეს შეუსაბამობა საზოგადოების ეკონომიურ სიძირკველსა და მის პოლიტიკურ და იურიდიულ ზენაშენს შორის განსაკუთრებულ დიდს ანჩენს რუსეთის საზოგადოებას და ბადებს იმ განსხვავებას უცხოეთსა და რუსეთს შორის, რომელიც თვალსაჩინოა უველასათვის, ვინც კი შეადარებს ამ ორ სოციალურ ორგანიზმს, მაგ. კლასობრივ ურთიერთობის მხრივ. ევრომანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა დაწინაურებულ ქვეყნებში კლასობრივი წინააღმდეგობა იმდენათ აშკარა და თვალსაჩინო შეიქნა, კლასობრივი ქიშპი იმდენათ გაძლიერდა, რომ საერთო ნიადაგის პოვნა, დროებით კავშირის შეკვრაც შეუძლებელი ხდება სხვა და სხვა კლასებსა და მათი ინტერესების გამომხატველ პარტიებ შორის. მაგ. ცნობილი კავშირი საფრანგეთის „რესპუბლიკის დასაცავათ“ შექმნილი, რომელიც შედგა უკიდურესი რადიკალებისა და პროგრესისტებისგან, კლასობრივი დიდიკის მსვლელობამ თავის თავით დაარღვია, მეოთხეთა სურვილის მიუხედავათ. გერმანიის რეიხსტაგში მუშათა პარტია დარჩა უკავშირო ოპოზიციათ ბურჟუაზიული რეაქციის წინააღმდეგ. ამერიკაში ეოველივე მტრობა და ქიშპი რადიკალებსა და დემოკრატებს შორის ისე უცებ დენდება, ერთ დროს ძლიერი პროგრამმული განსხვავება მათ შორის ისე დაწვრილმანდა, რომ ახლა თითქმის მტერა და მოყვარე ერთი მეორეს ვეღარ ცნობს. ამასთან ერთათ სულ ინდივიდუალისწრაფეთ იზრდება *) „შრომის პარტია“, რომელიც ბურჟუაზიულ პარტიის ორივე ფრაქციაში ერთნაირ შეურიგებელ მტერს პოულობს. თვით ინგლისში ამ „სოციალური მშვიდობიანობის“ ელდორადოში, არსდება ახალი პარტია, „მესამე პარტია“, რომელსაც ადათ ინგლისის ეკონომიური განვითარება ევროპის მუშათა პარტიების შეუკავშირებს პროგრამისა და ტაქტიკის მხრით. თითქმის უველგან, სადც კი კაპიტალიზმა ფეხი მოიმაგრა, სოციალიზმა იეოფება ორ ძლიერ ბანაკათ და თითეულ ბანაკში ცხადათ არჩევენ, თუ როგორ ეწეობიან სომარ რაზმებათ, თუ როგორ ემზადებიან და ფიცობენ მოწინააღმდეგე პარტიები.

კაპიტალისტური საზოგადოების განთიადს ბურჟუაზია და პროლეტარიატი პოლიტიკურათ ხელი ხელ ჩაკიდებულნი შეხვდენ. „ამ დროს პროლეტარიატი წარმოადგენდა შეუკავშირებელ, მთელ ქვეყანაში განბნეულს და კონკურენციის წყალობით განცალკევებულ მასასს. თუმცა ხან და ხან მუშები შეერთებული ძალითაც მოქმედებდენ, მარა ეს მოქმედება იყო არა მათი, არამედ ბურჟუაზიის კავშირის შედეგი, რომელიც იძულებული იყო თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევათ ფერხულში გაება შეერთებული პროლეტარიატიც და რომელსაც ძალდანეც შესწევდა სურვილის ასასრულებლათ. ამ ეპოქის განმავლობაში პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ ებრძვის თავის პირდაპირ მტრებს, არამედ ებრძვის თავის მტრის მტრებს, ე. ი. აბსოლუტურ მონარქიას, მიწის მესაკუთრეებს, წვრილ ბურჟუაზიას და სხ“. (მარქსი). როგორც ვხედავთ ცნობილი ავტორის სიტყვებიდან ბურჟუაზია სარგებლობდა გამოუცდელი, გულუბრყვილო პროლეტარიატით, რათა შეესრულებია თავისი ისტორიული მისია, ე. ი. გაეთავისუფლებია ახალი საზოგადოება ფეოდალური წესწყობილების ნაშთისაგან და ამ გვარათ შეესაბამებია საზოგადოებრივი ურთიერთობა ახალი წარმოების მოთხოვნილებებთან. დასავლეთ ევროპაში მან მისცა პირველი პოლიტიკური გამეთილება პროლეტარიატს, მან გაუწვრთნა ის და გამოიყვანა ბრძოლის ველზე, მან შეაგნებინა იმის ერთობის სიძლიერე, დისციპლინის და ცოდნის საჭიროება. მარა როცა უმაღლესმა მოსწავლემ დანიშნულ წრეს გაუსცილდა, როცა პროლეტარიატმა ფეოდალიზმისგან მიმართული იარაღი ადმცერად და ორაზროვანათ დაიკავა, მაშინ ბურჟუაზიამ საჭიროთ ცნო თავისივე ძველი მტრისგან ექმნა პირი და იმედ მიხდილი მომავლისათვის ახალი სული ჩაებერა.

1848 წლიდან კლასობრივ ბრძოლაში ახალი ისტორიული ხანა დგება: იწყება აშკარა, უველასათვის თვალსაჩინო ბრძოლის ეპოქა. მწარე ისტორიული გამოცდილებით აღჭურვილი, ცალკე კლასათ გამოეთიდა პროლეტარიატი გამოდის მჭიდროთ შეკავშირებული და მტკიცე ნაბიჯით მიიწევს თავისი ისტორიული მიზნის მისახწევათ; და უოველგან, უოველ ფეხის გადადგმაზე ის თვალწინ ხედავს თავის უტიფრებელ მტერს, ბურჟუაზიას, მტერს, რომელიც აღჭურვილია უოველგვარი იარაღით პარლამენტში და პარლამენტის არჩევნებზე საზოგადოებრივ დაწესებულებებში და პრესაში, გაფიცვებისა *) და დემონსტრაციების დროს, უოველგან და უოველთვის ის ებრძვის არა ერთ და ორ კაპიტალისტს, არამედ ბურჟუაზიულ კლასს, მტრის შეერთებულ ორგანიზაციებს, რომელებიც სხვა და სხვა ადგილას ბრძოლის ერთ და იმავე იარაღს ხმარობს. უოველდღიურ ბრძოლაში პროლეტარიატი კრძნობს თავის მტრის სიახლოვეს, თავისი ხუთი კრძნობის შემწეობით არკვევს მის პოლიტიკურ ფიზიონომიას, სწავლობს მისი ბუნების თვისებებს და სპობლოთ შეტევებისთვის ემზადება.

სულ სხვა პირობებია რუსეთში. ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ აქ ბრძოლა მაშინ დაიწყო, როცა დასავლეთ ევროპაში პროლეტარიატსა და ბურჟუას შორის ატეხილი ბრძოლა უმაღლეს წერტილამდე გამწვავებულიეო. ფეოდალიზმის ჯაჭვებს პროლეტარიატი ებრძვის არა როგორც ბურჟუაზიის უურ მოჭრილი ხელქვეითი, არამედ როგორც დამოუკიდებელი, შეკნებული, თავისი უცხოელი მოძმის გამოცდილებით აღჭურვილი ერთეული. რუსეთის ბურჟუაზია ვერავის წუბიძეგებს სახბრძოლველათ, ის თვითონ სჭირდება ხალხის და გამხნევებაში. მუშათა პარტიების ზრდაში, თვითონ მუშათა კლასის სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის მატებამ ევროპაში და ამერიკაში წაართვა ევროპის ბურჟუაზიას საზოგადოთ და რუსეთის ბურჟუაზიას მათ შორის ბრძოლის ხალისი, თავისუფლებისადმი ტრფიალება და მათი მამაცობის უოფილი თავგამოდება. სწორეთ მაშინ, როცა რუსეთის ბურჟუაზია განმანთავისუფლებელ ბრძოლაში უნდა გამოსულიეო, მან ზურგის შკან დაიხსნა თავისი მტრის ერთი ნაწილი, შეერთებული, საბრძოლველ რაზმებათ დაწყობილი და კლასობრივი თვით ცნობიერებით გამსჭვალული. რას უქადის ახალი რუსეთი იმას? ამ მტრის გაძლიერებას, ბურჟუაზიული საზოგადოების სასიკვდილო ჟამის მოახლოებას. თავისი მდგომარეობის შეკნებამ ჩაკლა თავისუფლების იდეალი ბურჟუაზიაში, ფერთები შეუკვეცა მას პოლიტიკურ აღმაფრენას და ორჭოფ მდგომარეობაში ჩააყენა: ერთი მხრით მას წეურია თავისუფლება, მეორე მხრივ მას ეშინია ამ თავისუფლების; მას ეშინია ბრძოლის, სა-

*) 1902 წ. არჩევნებზე მუშათა პარტიამ მიიღო მხოლოთ 90.000 ხმა, უკანასკნელ არჩევნებზე კი ბრაიტს (სოც. კანდიდატს) უკვე 600.000 ხმა მოუვიდა.

*) მაგალითათ გავიხსენოთ გაფიცვა კრიმჩაუში, როცა შეერთდა ერთი მხრით მთელი ქვეყნის შეგნებული პროლეტარიატი, ხოლო მეორე მხრით კაპიტალისტთა კლასი, როგორც მატერიალურათ ისე ხნოვბრივათ.

ცალური ორგანიზმის შენძრევის, სისხლის დენის! მან გერ შექმნა აქამდის მტკიცე პარტიული ორგანიზაცია.

ამ გვარ მდგომარეობიდან ბურჟუაზია თანდათან კმოაკვს მოწინავე პროლეტარიატს. „რამდენათაც უფრო მწვავდება ბრძოლა ფეოდალურ წესებს და ხალხს შორის მით უფრო უმწეო და სამაშარ მდგომარეობაში გრძნობს თავის თავს ბურჟუაზია, მით უფრო დაინებით ითხოვს მისი ინტერესები ხოლიტიკურ კონცესიებს, რათა ბოლო მოელოს რევოლიუციას, მით უფრო იზრდება მათი სიძულვილი ძველ წესების მცველთადმი, რომელნიც თავისი ბრმა თავგასულობით ბურჟუაზიას სამის მდგომარეობაში აგდებენ“ (კაუცკი). მოქალაქობრივმა ბრძოლამ, რომელიც ბურჟუაზიისათვის ასე მოულოდნელათ დაიწყო, თვალები გაახელია მას და საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობა ნათლათ დაანახა. ერთი მხრით კარგათ გაწურთნული დაუნდობელი რეაქციონერთა ორგანიზაცია, რომელიც ათერხებს და ჩაგრავს უოველგვარ წინსვლას, მეორე მხრით მოწინავე პროლეტარიატი, რომლის ხოლიტიკური მნიშვნელობა იზრდება საათობით, რომლის ორგანიზაციები უოველ შეტაკებიდან უფრო მტკიცე და მედგარი გამოდის, რომლის გავლენა ხალხზე წარმოუდგენელი სისწრაფით მატულობს, ბურჟუაზია კარგავს სულიერ სიმშვიდეს: მისი ძვირფასი საკუთრება, მისი სიმდიდრე, მისი პირადუნებაც კი საშიშ მდგომარეობაში გარდება. ის აძულებული ხდება მოითხოვოს რეფორმები, რათა შეჩერდეს რევოლუცია. „სოციალიური მშვიდობიანობა!“—ია მისი იდეალი. „მორიგება, დათმობა, ხოლიტიკური რეფორმები!“-ია ის გზა, რომელიც იმ ნეტარ სამეფოში მიდის, სადც ბურჟუას შეეძლება შეუშფოთებლათ, გულდადებით თავისი შეწყვეტილი საქმეები განაგრძოს. რაც უფრო აგვიანებენ ამ სანატრელ რეფორმებს, მით უფრო ძლიერდება პასუხუების იდი, მით უფრო სიფიქრად მდგომარეობაში გარდება ბურჟუას ქონება, „რადგან უველაზე უწინ იმაზე ამოიერის ჯავრს მოთმინებიდან გამოსული ხალხი და მთელი ქვეყნის ჯარიც არ იცმარებს მის დასაცავათ“. (კაუცკი) ამ გვარათ იზრდება დიბერალური მოძრაობა; ბურჟუას მკერდში იღვიძებს დროთა ვითარების მიერ ჩახშობილი თავისუფლების სიყვარული, მატულობს მისი მოქალაქობრივი გაბედულება და ხოლიტიკური შორსმხედველობა; ის ხმა მაღლა ითხოვს „დამბუგნებელიკრების“ მოწვევას.

აღმოსავლეთ ევროპაში პროლეტარიატს წილათ ხვდა იმ ხოლიტიკური როლის შესრულება, რომელიც დასავლეთ ევროპაში ბურჟუაზიამ შეასრულა. დემოკრატიული წესწყობილება არ შეადგენს მის საბოლოო მიზანს, მარა ის მისი მასზრდოებელი ჰაერია, ურომლისოთ პროლეტარიატის ზრდა განვითარება და წინსვლა უოველად შეუძლებელია. ამ გვარათ რუსეთის მოწინავე პროლეტარიატს ისტორიამ წინ დაუყენა ძნელი პრობლემა.—თავის კოლექტივისტურ ბუნებას მან უნდა შეუსაბამოს მისგან ნაკისრები რადიკალური ბურჟუაზიის როლი. უოველთვის სერთო მტერთან ბრძოლაში, როცა „თავისუფლების მოყვარული ბურჟუაზია მას გვერდით უდგას, მოწინავე პროლეტარიატმა არ უნდა დაიწყოს, რომ დღევანდელ თანამებრძოლთან ხვალ ის უფრო გრძელ და ძნელ ომს დაიწყებს. სერთო გატაცებაში მან არ უნდა დაიწყოს, რომ ფრთხილი და ზომიერი დიბერალი კიქცევა ბრძოლის ველიდან, როცა ხალხი მტერს სასიკვდილოთ დასჭრის და დაღებულ სისხლს კასტიდება. ეს ძნელი პრობლემა უფრო რთულდება იმ კარეშოების წყალობით, რომ ბურჟუაზია კამოდის ამ ბრძოლაში არა როგორც მჭიდროთ შეკვრილი ერთეული, არამედ დაქსაქსული, მტკიცე ორგანიზაციების მოკლებული. უოველდღიურ ხოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლაში რუსეთის პროლეტარიატი გერ ხედავს შერთებულ მტერს; მაგ., გაფიცვებისა და არეულობების დროს ის უფრო ხოლიციას ებრძვის, ვიდრე თავის ეკონომიურ ექსპლუატატორს: ბურჟუაზია, როგორც კლასი, ზურგის უკან ეფარება თაყის მოსარჩლეს. ხოლიციური წესწყობილება მძიმე ბიდვაში ახვევს კლასობრივ წინააღმდეგობის და შიგ მიდავს მას, რასაც უცხოეთში ცხადათ კვარჩევ პარლამენტის და აღგილობრივი თვითმართველობის სხდომაზე, თავისუფალ პრესაში, გაფიცვების დროს, როცა ორი კლასი, მართლაც ერთი მეორეს უპირდაპირდება. რუსეთში ბიუროკრატიის და წოდებრივ უპირატესობათა წყალობით კალა ფუჩეჩებული დრმა კლასობრივი წინააღმდეგობა და ეს მდგომარეობა ბადებს და ასაზრდოებს ტკბილ იდეალიზაციებს „სერთო ნიადაგის“ და „კლასთა ერთობის“ შესახებ. ამ გვარ ძნელ პირობებში უხთება მოქმედება მოწინავე პროლეტარიატს: ერთი მხრით მან უნდა მოიპოვოს ბრძოლით დემოკრატიული წესწყობილება, ხოლო მეორე მხრით უნდა გაიუვანოს გარკვეული საზღვრები თავის კლასსა და რადიკალურ ბურჟუაზიის შორის, რათა კოლექტივისტურ-დემოკრატიული მოძრაობა არ ჩანთქას სახოგადო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა მოძრაობამ. თუ რაგორ შესრულებს თავის როლს პროლეტარიატი, ამას ახლო მომავალი დაგვანახებს.

ვ. ჭ.

1904 წ. 7 ივნისის კანონის გამო

(„პრავო“)

1904 წ., 7 ივნისს გამოცხადდა უმაღლესათ დამტკიცებული ზრა სახელმწიფო საბჭოსი, რომელიც ხოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეების წარმოების შეეხება. 7 ივნისის კანონს „რამდენიმე ცვლილება შეაქვს სახელმწიფოს წინააღმდეგ დამნაშავეთა საქმეების წარმოებაში და უქმნემდებარებს ამ საქმეებს სისხლის სამართლის ახალი დებულების წესებს“. გაზეთი „პრავოს“ მე 5 № ში ბ. როზუმოვსკი მიგვითითებს ახალი კანონის მიერ შემოტანილ ცვლილებებზე და არკვევს, თუ რამდენათ კამართლა თავისი დანიშნულება ამ კანონმა, და რაში მდგომარეობს ის გახსხვავება თუ ცვლილება, რომელიც მან მოახდინა.

7 ივნისის კანონის გამოქვეყნებამდის ხოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეები, ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, გაიგზავნებოდა იუსტიციის მინისტრს, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით განკარგულებას ახდენდა რომ წინასწარ გამოძიება მოეხდინათ; თუ არა და ითხოვდა უმაღლეს ბრძანებას ან შესახებ საქმის წარმოების მოსპობისა, ან კიდევ ადმინისტრატიული წესით განხილვისა. მაგრამ ადმინისტრატიულმა წესმა განსაკუთრებული უკრაღება მიიქცია და თითქმის კაძევს სხვა წესები. ხოლიტიკური საქმეების რიცხვი კი დღითი დღე მატულობდა.

სწორეთ ამ მოვლენის და მიხედვით გამოიცა 7 ივნისის კანონი, რომელმაც ხოლიტიკური საქმეების წარმოება დაუქვემდებარა უმაღლეს სამსჯავრო დაწესებულებას. კანონმდებელმა მოაწესრიგა აგრეთვე საქმის გარჩეის წინ სჯარო მომზადებაც. აი რაში გამოიხატება ეს მოწესრიგება: იმ დროს, როცა, ვერც ერთი ჩვენებრივი სისხლის სამართლის საქმე ვერ კაღიცემა სასამართლოში წინასწარ გამოძიების მოუხდენლათ, ხალხის პროკურორს შეუძლია გამოუძიებლათ გადაცეს სასამართლოში ხოლიტიკური საქმე, თუ კი ჩვენების ჩამორთმევა საკმაო საბუთებს მიცემს მას ამისათვის, რაკორც ნათლათ ჩანს ამ მხრით ახალი კანონი ძირითადათ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კანონს და წინასწარი გამოძიების უპრეოთით ხოლიტიკურ დამნაშავეს უსპობს ერთათ ერთ საშვალებას, რომლის მეხებითაც ცოტათ თუ ბევრათ შესაძლებელია ჯუშმარიტება გამოირკვეს.

წინასწარი გამოძიების ჩვენების ჩამორთმევათ შეცვლამ ბოლო უნდა მოელოს იმ აზრს, რომ ვითომდაც ახალი კანონის წყალობით ხოლიტიკურ საქმეთა წარმოების ნაკლულოვანებები მომსპარიყოს.

რა არის ეს ჩვენების ჩამორთმევა ახალი კანონის მიხედვით და ვის აკისრეს იგი?

ეს ჩვენების ჩამორთმევა სახოგადოთ თითქოს სრულიად გავს წინასწარ გამოძიებას, მაგრამ მათ შორის არის რამდენიმე არსებითი განსხვავება, რომელიც სულ სხვა ნაირ სახეს აძლევს ჩვენების ჩამორთმევას. ჩვენების ჩამორთმევა გამოაქს ფორტიდან უოველ გვარი კორესხონდენციები ბრალდებულის სახელზე მოსული სას-

მართლა დაწესებულების ნება დაურთველათ. მას შეუძლია სტუსაღში იყოლიოს ბრალდებული, რამდენ ხანსაც საჭიროთ ცნობს, მიუხედავათ იმისა, თუ რა სახისაა ბრალდებულის დანაშაული და რა გინდ ხატარა სასჯელი მოელოდეს უკანასკნელს თავისი დანაშაულობისათვის.

რაც ოლქის სასამართლოს გამომძიებელი გამოძიებას ათავებს, ვალდებულია შეეკითხოს ბრალდებულს, სურს თუ არა მას კიდევ წარმოადგინოს რამე თავის გასამართლებლათ. თუმცა, რაგორც გავს, ასეთი უფლება პოლიტიკურ დამნაშავესაც აქვს, მარა კათხვას ჩვენების ჩამოართმევი რადი ძალევს; ასე რომ ახალი კანონით თითონ ბრალდებულმა უნდა იცოდეს, რომ მას ნება აქვს თავის გასამართლებლათ საბუთები წარუდგინოს ჩვენების ჩამომრთმევს, თითქო ეს ახალი საბუთები მარტო ბრალდებულისთვის იყოს საჭირო და არა წუმპარიტების ადმოჩენისთვის. ასეთი წესი, რასაკვირველია ათეურხებს საქმის ყოველ მხრივათ განხილვას.

(შემდეგი იქნება).

სამოგადოებრივ-ისტორიული წერილები.

(იხ. მოგზ. № 7).

V.

მონარქიული და პარლამენტალური თვითმპყრობელობა.

კაპიტალისტური წარმოების წეს-წყობილების განვითარება იწყება მეთექვსმეტე საუკუნიდან. ამ დროიდან საერთოთ ვრცელდება საქონლის წარმოება ე. ი. დამზადება გასასყიდათ და თანდათან ქრება წარაოება თვით მწარმოებლების და მათი ბატონების (ვისაც კი ყავდა ბატონი) მოსახმარებლათ. ქრება აგრეთვე სოფლის და ქალაქის თემების დამოუკიდებლობა და განკერძოება, რაც შეადგენდა საშუალო საუკუნოების დამახასიათებელ თვისებას. წარმოების ხხვადასხვა დარგი დამოკიდებული შეიქნა შინაურ ბაზარზე და მით მსოფლიო ბაზარზეც. მაგრამ შინაური ბაზარი ხომ მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაა. სახელმწიფო შინაც ესარჩლება, მრეწველ-ვაჭრების ინტერესებს, იცავს მათ უცხო ქვეყნელ მრეწველ-ვაჭრების კონკურენციისაგან და ამავე დროს ცდილობს საქონლის გასაღებას, რაც შეიძლება უკეთესი პირობები შექმნას უცხოეთის ბაზარზე. რაც უფრო დიდია სახელმწიფო, რაც უფრო ძლიერია მთავრობა, მით უფრო მეტი იმედი უნდა ქონდეს ვაჭარ-მრეწველებს, რომ ის შეძლებს მათი ინტერესების დაცვას.

აი ამ დროიდან ედება სახელმწიფოს მტკიცე ეკონომიური საფუძველი. საშუალო საუკუნოებში ჩვენ ვხედავთ, რომ სახელმწიფოს სივრცე მუდამ ცვლილებაშია; ამის მიზეზი ხან ომიანობაა, ხან მემკვიდრეობა, ქორწინება, ყიდვა, გაცვლა და ხან დაწინდრებაც. რადგანაც ყოველი თემი ან ყოველი მხარე მაინც თავის მოთხოვნილებას თვითვე იკმაყოფილებდა, ამიტომ არაფერ მიუცილებლობას არ შეადგენდა, რომ ხელმწიფეს თავის სამფლობელო ერთ ფარგალში ქონოდა. გაბსბურგებს, მაგალითათ, მე XIV საუკუნეში სამფლობელო ქონდათ არა მარტო გერმანია-ავსტრიის მხარეში, არამედ შვეიცარიას, შვაბიას და ელზასშიაც.

თანამედროვე სახელმწიფოები კი წარმოადგენენ ეკონომიურათ დაკავშირებულ მხარეებს, ეს კავშირი მით უფრო მჭიდროთ ხთება, რაც უფრო დიდხანს არსებობს, რომელიმე სახელმწიფო, რაც უფრო მეტათ ვითარდება მის ეკონომიურ ცხოვრებაში კაპიტალიზმი და რაც უფრო მეტათ აკმაყოფილებს წარმოება შინაური ბაზრის პირობების მოთხოვნილებას.

ამასთან ერთათ სახელმწიფოს გაფართოვებაში დაინტერესებული ხთება არა მარტო სამეფო გვარეულობა, რომელიც მხედართა კასტიდან არის გამოსული, არამედ მწარმოებელი კლასებიც. ამ გვარათ დინასტიური სახელმწიფო ეროვნულ სახელმწიფოთ ხდება.

საშუალო საუკუნის გასულს, სოფლის და ქალაქის მკვიდრისთვის, დაახლოვებით, იმდენათვე უმნიშვნელო იყო ის გარემოება—ეკუთვნოდა თუ არა მას, ხელმწიფეს, კიდევ სხვა თემები, როგორც ეხლა უმნიშვნელოა რომელიმე მებატონის მუშისათვის, აქვს თუ არა ამ მებატონეს კიდევ სხვა მამულები. თანამედროვე სახელმწიფოს მკვიდრთათვის კი სახელმწიფო ტერიტორიის შემცირება ეკონომიური ცხოვრების შევიწროების მომასწავებელია, ხოლო სახელმწიფოს გაფართოვება შინაური ბაზრის გაფართოვებაა და მსოფლიო ბაზრის პირობების მათთვის გაუმჯობესება.

რამდენათ უფრო მჭიდროთ უკავშირდება სახელმწიფოს ნაწილები და ღონიერდება ახალი სახელმწიფო, იმდენათ უფრო ეკარგება მნიშვნელობა ძველ სოციალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს. ამ ორგანიზაციების ფუნქცია ზედიზედ გადადის სახელმწიფოს ხელში და თვით ისინი კი მხოლოთ დრო-გადასულ და განვითარებისათვის ხელის-შემშლელ დაბრკოლებას წარმოადგენენ, და აუცილებელი ხდება მათი მოსპობა. საზოგადოება მის შემადგენელ ნაწილებათ იყოფა (ირღვევა) და ადამიანთა ურთიერთ შორის დამოკიდებულება გამოდის კორპორაციების დამოკიდებულებათა საზღვრებიდან და ერთი მეორეს აღარ უდრის.

ამ არსებული ორგანიზაციების დარღვევის დროს თვით სახელმწიფოში საზოგადოების და სახელმწიფოს ცენტრალიზაცია სწარმოებს. ვაჭრობას იმ თავითვე ქონდა ცენტრალიზაციისაკენ მისწრაფება. ვაჭრობა იწვევს საქონელის და მყიდველ-გამყიდველთა თავის მოყრას ისეთ ადგილებზე, რომლებიც ან გეოგრაფიულათ უფრო მოხერხებულია, ან პოლიტიკური პირობები უწყობს ხელს. კაპიტალისტური წარმოების წესი ქმნის საქონელს, რომელიც დამოკიდებული ხდება ვაჭრობაზე, ვაჭრობის ცენტრალიზაცია კი მთელი ეკონომიური ცხოვრების ცენტრალიზაციას იწვევს. მთელი მხარე, ცოტათ თუ ბევრათ, პირდაპირ, თუ არა-პირდაპირ, ეკონომიურათ დამოკიდებული ხდება უმთავრეს ქალაქზე, ისე, როგორც კაპიტალისტების კლასზე. უმთავრესი ქალაქი ვაჭრობის ცენტრათ ხდება, აქ იყრის თავს ზედმეტი ღირებულებაც, ქვეყნის სიმდიდრეც, სიმდიდრეს კი მიყვება ქვეყნის ხელოვნება და მეცნიერება.

ეკონომიური ცენტრალიზაცია პოლიტიკური ცენტრალიზაციაა; სავაჭრო ცენტრი სამმართველო ცენტრათ ხდება.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ახალ კლასებს, რომელნიც ვაჭრობით და წარმოებით ცხოვრობენ, მეტათ ეჭირვებათ ისეთი ძლიერი სახელმწიფოს მთავრობა, რომელიც შეიძლებს მათი ინტერესების დაცვას, როგორც შინ, ისე უცხოეთშიაც.

ყოველ ტომს ძველათ თავის ბელადი ყავდა, შემდეგ მეფეები გაჩნდენ, მარა ეს მეფეები საშუალო საუკუნოებშიაც მხოლოთ ძველებურ ბელადებათ დარჩენ. ის იყო, როგორც მხედრობის უფროსი, სამხედრო კასტის ბელადი, როგორც უმაღლესი მოსამართლე—სასულიერო წოდების ბელადი. მეფის ღირსების მიღება მემკვიდრეობითაც რომ ყოფილიყო, რაც, რასაკვირველია, ყველგან არ იყო, ის მაინც თავის თვითნება და დამოუკიდებელ ვასალებზე და ასეთსავე თვითნება და დამოუკიდებელ სამღვდელოებაზე იყო დამოკიდებული. ქალაქების გაძლიერებამ ვერ გააუმჯობესა მეფის მდგომარეობა, რადგანაც ამ გარემოებამ ის ორის მაგივრათ სამ კლასზე გახადა დამოკიდებული.

მსოფლიო ვაჭრობას და კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ საქმის ვითარება მეფის სასარგებლოთ შეცვალა. ამ განვითარებამ შექმნა არაფრის მქონე არმია, და რადგან მრეწველობა ჯერ კიდევ საკმაოთ არ იყო განვითარებული, ამ არმიის მხოლოთ ერთ ნაწილს შეეძლო დაქირავებულ მუშებათ გამხდარიყვენ. უმეტესი ნაწილი კი პროლეტარებათ იქცენ და როგორც ძველი რომის პროლეტარები, დესპოტიზმის ბურჯათ შეიქნენ, იმ განსხვავებით მხოლოთ, რომ პოლიტიკური ხმის უფლებით ვაჭრობის მაგივრათ ეხლა ისინი მეფეებს ყიდდენ თავის საკუთარ ძალას. ხელმწიფის სასამსახუროთ დაქირავებულ ჯარის რიცხვი სწრაფათ მატულობდა.

ამავე დროს ჩრებოდა ის რაინდთა მხედრობა, რომელიც თითქმის სრულიად დამოუკიდებელი იყო მეფეზე. შემოსავლის ფეოდალური წყაროები ისპობოდა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, კარგავდა თავის მნიშვნელობას. ახლა საზოგადოებაში გავლენის მოპოვება დამოკიდებული იყო ფულზე და არა გადასახადზე და ხარკზე, რომელიც შემოქონდათ სასოფლო სამეურნეო პირნახულათ. რაც უნდა ატყავო გლეხი, ფულს მას ბევრს ვერ უპოვი. მიწის მფლობელი აზნაურობა და სასულიერო წოდება იძულებული შეიქნენ ფულის საშოვნელათ თავიანთი ფუნქციები საქონლათ ექციათ. კათოლიკეთა სასულიერო წოდება თავიანთი ვალდებულებით, წმიდანებით და ცოდვების შენდობის უფლებებით ვაჭრობდა. აზნაურობა კი სამხედრო სამსახურისათვის მიყიდდა თავის თავს ყველას, ვინც შესაფერ ქირას აღუთქვამდა. ამგვარათ, ეკონომიურათ დამოუკიდებელი ვასალები მეფის ნაქირავებ აფიცრებათ გახდენ.

მარა წმინდა საგნებით ვაჭრობა სასულიერო წოდების მხრივ იმ სისაძაგლემდის მივიდა, რომ მის წინააღმდეგ ხმა აამაღლა ხალხმა. ვერც სასულიერო წოდებამ, ისე, როგორც ვერც აზნაურობამ ვერ შეძლო თავის დამოუკიდებლობის დაცვა. ამ დროიდან მთელი მისი ქონება, რაც კი შეერჩინა ან შემდეგ მიეღო, როგორც კათოლიკის, ისე პროტესტანტის სარწმუნოების მაღიარებელ ქვეყნებში, უკვე მეფის წყალობით ქონდათ, სამაგიეროთ იმათაც სამსახური უნდა გაეწიათ მეფისათვის.

წარმოების ახალმა წესმა, ახალმა სახელმწიფომ, შეიტანეს სასამართლოში და სახოგადოების მართვა გამგეობაში ისეთი მოთხოვნილებანი, რომლის აღსრულება ვერ შესძლეს ძველმა ორგანიზაციებმა, სადაც თვალ საჩინო როლს აზნაურობა და სასულიერო წოდება თამაშობდა. სასამართლოში გაბატონდენ მსწავლულნი კანონის მცოდნენი (მთელ ევროპაში, ინგლისის გარდა, რომაელი იურისტები) რომელთაც ნიშნავდა მეფე და ჯამაგირსაც ის აძლევდა, რის გამოც სრულიად დამოკიდებული იყო მეფეზე; მეფის ბიუროკრატიის ხელში გადავიდა აგრეთვე ფინანსები.

საშუალო საუკუნოებში მიწათ მფლობელნი და თავისუფალი ქალაქები ნაკისრ გადასახადს თვით აძლევდენ მეფეს. თუ როგორ ახდევინებდენ ამ გადასახადს მიწის მფლობელი გლეხებს და ქალაქი თავიანთ მოქალაქეთ და სხვა მკვიდრთ, ამის განხილვაში მეფის მთავრობა სრულიადაც არ შედიოდა. ეხლა კი გადასახადის დადების უფლება წაერთვათ მიწათ-მფლობელთ და ქალაქის მოხელეებს და გადაეცა გადასახადთა შემსყიდველებს, ან საგანგებო მოხელეთ.

აზნაურობას და სასულიერო წოდებას სრულიად დაეკარგა მნიშვნელობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის, სამართლის და სამხედრო საქმეებში. ეს წოდებები სიმდიდრეს და პრივილეგიებს მეფისაგან ღებულობენ მოწყალებათ და არა იმიტომ, რომ მათ ქონდათ რაიმე საზოგადოებრივი ფუნქცია. ამიტომაც მათი მიზანია ეხლა ხელი შეუწყონ მეფის უფლების გაძლიერებას.

სასულიერო წოდების და აზნაურობის დაცემით წოდებრივ წარმომადგენლობით კრებებს ორი ფრიად მნიშვნელოვანი ბურჯი გამოეცალა.

მარა XVII და XVIII საუკუნის განმავლობაში თანდათან ეცემოდა მესამე ბურჯიც ამ კრებისა—ქალაქებიც. მართალია კაპიტალისტური წარმოების წესმა ძლიერ შეჯგუფა ქალაქებში მცხოვრებლები—ბურჟუაზია პროლეტარები, მაგრამ ამ მიზეზით უფრო რამდენიმე დიდ ქალაქებში მოიყარა თავი მცხოვრებლებმა. ეს ქალაქები კი ჩაჩრდილა სატახტო ქალაქებმა თავის სიმდიდრით და გაელენით. ბევრი ქალაქის წინსვლა შედგა, და ბევრი კი ისე ჩამოქვეითდა, რომ, „დამპალ დაბების“ დონეზე დადგა, როგორც ამას ინგლისში ეძახდენ.

ამ დაბებს არ შეეძლოთ განვითარებულ თვითმპყრობელობის ძლიერებისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ.

ამიტომაც თანდათან მეტი მნიშვნელობა მოიპოვა სატახტო ქალაქებმა თანამედროვე სახელმწიფოებში მე XVI საუკუნიდან დაწყებული. უკვე ჰენრიხ IV-მე იცოდა, რომ პარიზი მესაზე (სასულიერო წოდება) უძლიერესი იყო და ამიტომაც მეფე დაემორჩილა მის ნებას და მიიღო კათოლიკის სარწმუნოება. ამას გარდა თუ რა მნიშვნელობა ქონდა ლონდონს სახელმწიფო პოლიტიკაში, ეს კარლოს I-მა თვით გამოცადა თავის თავზე.

სატახტო ქალაქის მცხოვრებთა უმეტესობა სულაც არ იყო დაინტერესებული საერობო წარმომადგენელთა გავლენა დარჩენილიყო, რადგან მათი გავლენა ნიშნავდა მიყრუებულ დაბების აზნაურობის და ფილისტერების ბატონობას. რას მისცემდა სატახტო ქალაქს მათი ბატონობა? პირველი იმას, რომ ისინი უარს იტყოდენ გადასახადის შემოღებაზე და მომჭირნეობას დაადგებოდენ, და ეს კი არ იყო ხელსაყრელი მაშინდელ სატახტო ქალაქის მცხოვრებლებისათვის, რადგან მათი უმეტესობა ცხოვრების სახსარს კარის მოთხოვნილების დაკმაყოფილებით პოულობდა. რაც უფრო მეტს დახარჯავდა მეფე და მისი ამალა, ის უკეთესი იყო სატახტო-ქალაქისთვის. სწორეთ იმ ხალხს, რომელიც ქმნიდა სიმდიდრეს და ვაჭრობდა მითი, ძალიან ცოტას აფიქრებდა ის გარემოება, რომ ისინი არ ქმნიდენ სიმდიდრეს, ვინც ფლანგავდენ.

ახლა მეფეზე და სახელმწიფოზე გავლენა იმ ელემენტებს კი არ ქონდათ, რომელნიც საერობო წარმომადგენლობით კრებას შეადგენდენ, არამედ ახალ ელემენტებს, რომელთაც პირდაპირი გავლენა ქონდათ პირადათ მეფეზე; ესენი იყვენ კარის აზნაურობა, სასულიერო წოდება და მოხელეთა მთელი არმია. მათი იარაღი ინტრიგა იყო; ამათ გარდა სატახტო ქალაქის მცხოვრებლები, რომელთაც ზოგჯერ თავისი გაქონდათ არეულობის მოხდენით და ბოლოს კაპიტალისტები, რომელთა კრედიტი ახალი სახელმწიფოს უმთავრეს საფუძველათ გახთა.

ნამდვილია, რომ კაპიტალისტების დაუხმარებლათ მეფის უფლება თავის დღეში ვერ მიაღწევდა თვითმპყრობელობამდის, იმისთვის რომ გამკლავებოდა მოწინააღმდეგეთ, ან დაეძლია ან მოესყიდა ისინი, რომ თავის მომხრე—დამცველებისთვის ეძლია ჯილდო, რომ გაეწიათ ყველა იმ ფუნქციების მაგიერობა, რომელსაც წინეთ თემები და კორპორაციები, ან ფეოდალი მებატონები ასრულებდა და ეხლა სახელმწიფოზე გადავიდა, იმისთვის რომ დაეცვა თავისი თავი, მოეწყო მიმოსვლის საქმე, გაეყვანა გზები და არხები, აეგო სიმაგრეები, სამხედრო საწყობები და სხ. და სხ. ყველა ამისთვის მეფეს სჭირდებოდა ფული და ბევრათ მეტი ვიდრე შეეძლო მიეღო გადასახადების სახით თავის ქვეშევრდომთაგან, სადამოწმო ბაჟით და სხ. და სხ. ამიტომ მეფეს ხშირათ უნდა მიემართა მდიდარ ვაჭრებისთვის ფულის სასესხებლათ. ამ დროიდან დღემდის კრედიტი სახელმწიფოს უმთავრეს ბურჯათ რჩება. საბირჟო კურსების აწევ-დაწევას არა ერთი მთავრობის ბედი გადუწყვეტია ამ უკანასკნელ ორ საუკუნეში.

ასეთი იყო ევროპის მონარქიების პოლიტიკის უმთავრესი ფაქტორები საფრანგეთის რევოლიუციამდის და ხშირათ შემდეგაც, ასეთია ხშირათ დღესაც. მათი გავლენა დიდი იყო, მარა გამოურკვეველი და მოუწესრიგებელი. ფაქტიურათ მეფე კი არ მართავდა სახელმწიფოს, მართავდენ სხვები, მართავდენ დაინტერესებული წრეები, ხოლო მართვა მათ შეეძლოთ მეფის საშვალებით, მეფის უფლება შეუზღუდავი იყო; სხვები ამ უფლებას თავის სასარგებლოთ იყენებდენ, მარა მთელ სახელმწიფოში, არავის არ შეეძლო ამ უფლებას წინაღდგომოდა.

საერობო წარმომადგენელთა კრების მნიშვნელობა თანდათან დაკნინდა. ზოგიერთ ქვეყნებში, ეს კრებები სრულიად მოისპო, ზოგ ადგილას დარჩა, მარა ისეთსავე როლს ეწეოდა, როგორსაც დღეს ევროპის ქარხნებში მუშათა კომიტეტები. მათ უნდა ზრდილობიანათ ყველაფერზე თანხმობა გაეცხადებიათ, მხოლოთ ზოგ წვრილმანებში ნების აძლევდენ ყოვლად შემძლებელ პოლიციისათვის დახმარება აღმოეჩინათ.

ასეთია საერთო სახე პოლიტიკის განვითარებისა ევროპაში მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში.

(შემდეგი იქნება).

რედ.-გამომც. ი. პ. როსტომაშვილი.

Дозволено цензорою. Тифлисъ, 5-го марта 1905 г.

ელექტრომბეჭდავი თავ. გრ. ნ. დიასამიძისა, სასახლის ქ.

„მოგზაურის“ ცალკე დამატება.

გურიის ამბები.

სოფ. ხიდისთავი (ბასილეთის საზოგ.). 24 თებ. არ არის გურიაში მეორე სოფელი, რომელიც იმ ზომამდე დატანჯულიყოს, როგორც სოფ. ანუ დაბა ხიდისთავი. მთავრობამ თავისი სისასტიკე პირველათ ხიდისთავლებზე ცადა, რადგანაც ის მიაჩნდა ყოველგვარი ურჩობის და წინააღმდეგობის ბუდეთ თუ სათავეთ. გარდა ამისა ხიდისთავლებს ამ ბოლო ხანამდე თითქმის მთელი გურია სასაცილოთ იგდებდა, როგორც ურჩსა და რაღაც ახალის მსურველს. ხიდისთავლების „უღმერთობა“, რაც უმეტეს ნაწილათ მარხვის ჭამასა და სამღვდელოების მხილებაში მდგომარეობდა, გურულების სალაპარაკო საგანს შეადგენდა. ამგვარი აზრების ხალხში გავრცელებას და ხიდისთავლების სასაცილოთ აგდებას მეზობელ სოფლებში ძლიერ შეუწყო ხელი აწ განსვენებული ბლაღოჩინი ნიკო რამიშვილის ფანატიზმა მოქმედებამ.

მაგრამ დრო შეიცვალა. დღეს ხიდისთავი მარტო არ არის გურიაში, როგორც ეს ოთხი-ხუთი წლის წინეთ იყო; დღეს ისიც იმგვარი სოფელია, როგორიც: ბახვი, ასკანა, ჩოხატაური და სხ., მაგრამ თავისი ხიდისთაური ელფერი მაინც დასდევს.

დილის ათი საათიდან ატეხილი ზარების გუგუნი აუწყებდა ხალხს, რომ თავი მოეყარათ დაბა ხიდისთავში, სადაც მოელოდენ მთავრობის მიერ გამოგზავნილ კაცს. შევიკრიბოთ და ვუთხრათ ყველაფერი დაუფარავათ, გულახდილათო—ეუბნებოდენ ერთმანეთს მცხოვრებნი და ქალიან კაციანათ, დიდით პატარამდე დაიძრენ დანიშნულ ალაგისაკენ. შვადღისას, ხიდისთავის მიდამო, ეკლესიის ეზო და სხვა ახლო-მახლო ადგილი ხალხით გაიჭედა.

ნაშვადღევის ორ საათზე სულთან კრიმ-გირეიც მოვიდა და ჯგუფ-ჯგუფებათ დაყოფილმა ხალხმა თავი ერთათ მოიყარა სამრეველო სკოლის წინ. ყრილობას დაახლოებით 2000 სულზე მეტი ქალი და კაცი დაესწრო. როგორც წინა დღეს ბახვში, ისე აქაც კრიმ-გირეი ჯერ მიესალმა ხალხს „გამარჯობა თქვენიო“, და შემდეგ მისმა სანდო თარჯიმანმა წაიკითხა მოგზაურობის მიზანი. შემდეგ ამისა ხალხს კითხეს, როგორ სურს: ერთათ ლაპარაკი, თუ წარმომადგენლების არჩევა. საზოგადოებამ უკანასკნელი ამჯობინა და ამორჩეულ იქნა 25 დეპუტატი (ამათგან სამი ქალი). როდესაც ხალხი ისევ მოგროვდა, შეუდგენ მოლაპარაკებას. ჯერ კრიმ-გირეიმ წინადადება მიცა: თუ არა საიმედო პირები გირევიათ ვინმე გთხოვთ დაითხოვოთო, მაგრამ ხალხმა ამაზე ვარი განაცხადა და არავისი კრებიდან გაძევება არ მოუსურვებია.

რადგანაც ასეთი წერილები ხშირათ გვექნება და ამასთანავე, რადგანაც აქ ორი მოქმედი პირი იღებს მონაწილეობას: სახელდობრ ხალხი და მთავრობა, ამიტომ ჩვენც ამის დაგვარათ მოვიქცევით და წერილს ისე გადმოგცემთ, თითქო ორი კაცი ლაპარაკობდეს.

დეპუტატები, მთავრობის წარმომადგენელნი და გაზეთის კორესპონდენტები სკოლის აივანზე ისხდენ, ხოლო ხალხი, საზოგადოება ძირს იდგა და მოლაპარაკებას ყურს უგდებდა.

მთავრ. გახსოვდეთ, რომ მე მოვედი აქ არა ჩემი საქმის გულისათვის, არამედ თქვენი გაჭირვების გამოსარკვევათ და მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთი თქვენ მიერ წარმოთქმული სინამდვილე ჩემთვის მწარე გასაგონი იქნება და გულს ეჩვლიტება, მაინც გთხოვთ გულ-ახდილათ და დაუფარავათ მითხრათ ყველაფერი, რაც თქვენს ცხოვრებას შეეხება და რასაც თხოულობთ.

ხალხი. ძალიან კარგი. ჩვენ გულახდილათ და დაუფარავათ ვიტყვით ყველაფერს, რაც გვტანჯავს და რასაც სამართლიანათ ვთხოულობთ, მაგრამ ვინ არის თავდები, რომ ჩვენი გულ-ახდილობისათვის ჩვენი პიროვნება არ შეილახება თვითნება პოლიციისაგან. ეს ჩვენ არა ერთხელ და ორჯერ გამოგვიცდია.

მთავრობა. მე არ შემიძლია თქვენი პიროვნება უზრუნველ ვყო მაშინ, როდესაც მე აქ არ ვიქნები და შეიძლება რომელიმე თქვენგანს კიდევაც შეხვდეს რაიმე უსიამოვნება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ, დაუყონებლივ მე მომწეროთ და შვამდგომლობას გავწევ, ხოლო ახლა თქვენი პიროვნების დასაფარავათ არ ვკითხულობ მოლაპარაკეთა სახელსა და გვარს.

ხალხი. ძალიან კარგი, მაგრამ ვინ არის იმის თავდები, რომ ჩვენი ნათქვამი დაუმახინჯებლათ შევა ოქმში. ჩვენ არა გვაქვს იმის შემოწმების საშვალება.

მთავრ. მე თარჯიმანათ მყავს ის კაცი, რომელსაც მე ვენდობი. ხოლო თუ მაგას შეცდება რაიმე, მაშინ ამათ შეუძლიათ დახმარების აღმოჩენა. (აქ კორესპონდენტებზე ანიშნა).

ხალხი. ყველაზე უწინ ამას მოგახსენებთ: რომ თუ თქვენ მობრძანდით გურიაში იმიტომ, თითქო აქ ისეთი არაჩვეულებრივი რამე ხდებოდეს, რომელიც არსად სხვაგან რუსეთში არ გაეგონოთ, თქვენ შემცდარი ხართ.

მთავრობა. ჩვენ მოვედით აქ მხოლოთ იმის გამოსარკვევათ, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია ხალხსა და მთავრობას შორის უთანხმოება და არა იმიტომ, რომ აღმოვაჩინოთ დამნაშავენი ხსენებული მოძრაობისა.

ხალხი. მაშ მოისმინეთ. ჩვენი მოთხოვნილება გამოიხატება მხოლოთ სამი სიტყვით: ჩვენ გვინდა პური, სამართალი და თავისუფლება; ჩვენ კი არა გვაქვს არც ერთი, არც მეორე და არც მესამე. ჯერ მოგახსენებთ პურზე. ჩვენ არ ვთხოულობთ, რომ დამცხვარი პურები გადმოგვიყარონ. სრულიადაც არა. ჩვენ მოვითხოვთ მხოლოთ იმას, რომ ჩვენი შრომის ნაყოფი ჩვენვე შეგვარჩინონ და ხელიდან არ გამოგვგლიჯონ. შეხედეთ აი ამ ხალხს: აქ თქვენს წინაშე დგას უმეტესი ნაწილი მშრომელი ხალხი, მუშა ხალხი და ადვილათაც იცნობა

ის, მზისგან გარუჯული და ჩონჩხივით ჩამომხმარი. ნუ თუ ამათ უფლება არა აქვთ მოითხოვონ, რომ თავიანთი ნაშრომი, თავისი ოფლითა და სისხლით მონაგარი ლუკმა მის საჭიროებასვე მოხმარდეს და ვიღაც მუქთა ხორა მცარცველის ჯიბეში არ ჩადიოდეს? დიახ, ამათ არა აქვთ ამის უფლება, ეს ჩვენ ვიცით. მიზეზი იმისა, რომ ჩვენი შრომის ნაყოფით სხვა უსაქმური ხალხი სუქდება, გახლავთ ისა, რომ მშრომელ ხალხს, მიწის მუშას არ გააჩნია არავითარი საკუთრება. მიწა, რომელსაც ის ამუშავებს და თავისი ოფლით რწყავს, სხვისი საკუთრება არის. ის იძულებულია იმ პირობას დაყვეს, რომელსაც ადგილის პატრონი უდებს და ამან ჩააგდო გლეხი იმ უკიდურეს მდგომარეობაში, რომლიდან გამოსვლას ახლა თავისი ძალით ცდილობს. ან კი რა ჭნას საბრალო მიწის მუშამ? მისთვის არ არსებობს არც საკუთარი მიწა და არც სამართალი, რომელმაც უნდა დაიფაროს იმისი ინტერესი მამულის პატრონთა თვითნებობისაგან. პირიქით, ჩვენ სულ ერთსა და იმავე უსამართლობას ვხედავთ. მოსამართლენი და პოლიცია მემამულის იარაღი ყოფილა და ამ იარაღით კარგა ხანია სარგებლობენ ჩვენი სულთამხუთავი მემამულეები. დიახ, პოლიცია და მემამულე ხელი-ხელ ჩაკიდებული გვებრძვიან ჩვენ, მიწის მომუშავე ხალხს.

მთავრობა. საჭიროა ვიცოდეთ, პოლიცია თავის ნებით მოდის და ერევა მემამულეთა და მუშათა შორის, თუ მას მემამულეები მიმართავენ ხოლმე.

ხალხი. ხშირათ თავისი ნებით ერეოდა, უმეტესათ კი მემამულეთა თხოვნით, მოყავდათ გაყოფის დროს კალოზე სტრაჟნიკები და სხვა პოლიციელნი და იმათი ძალდატანებით აყოფინებდენ ოფლით მონაგარ სარჩოს. თუ ვინმე წინააღმდეგობას გაწევდა, იმისთვის მათრახი, ციხე და ხშირათ ციმბირიც მოსალოდნელი იყო. განა ამას კიდევ მტკიცება ჭირია, რომ პოლიცია მემამულეს ეკუთვნის?

მთ. წარ. სოფლისაგან ამორჩეული მამასახლისი ნუ თუ გლეხების ინტერესს არ იცავდა?

ხალხ. წარ. მე თითონ გიახელი მამასახლისათ რამოდენიმე წელს და მახსოვს, თუ როგორ უსამართლოთ გვამოქმედებდენ ჩვენი უფროსები. განა მამასახლისს შეუძლია პრისტავისა და მაზრის უფროსის ბრძანებას გზა აუქციოს? ის ყველაფერში მორჩილია თავისი მბრძანებლებისა, და ისინი კი ხალხის მტრები არიან. წინააღმდეგობისათვის ან ხალხის ინტერესის გამოსარჩლებისათვის მამასახლისს სასტიკი სასჯელი მოელის.

მთ. წარ. განა ყოფილა მაგალითი მამასახლისის დასჯისა ხალხის ერთგულობისათვის?

ხალხ. წარ. ყოფილა და ძლიერ ხშირათაც ყოფილა. მაგალითისათვის დავასახელოთ: ხარიშვილი, ხომერიკი, ბოლქვაძე და სხვები, მაგრამ ეს ხომ ყველასათვის ცხადია და ჩვენ ისევ ჩვენს საბაასო საგანს დავუბრუნდეთ. ჩვენ კიდევ ვამბობთ, რომ მიწა მშრომელ ხალხს უნდა ეკუთნოდეს და არა მუქთა-ხორებს. ჩვენი შრომის ნაყოფი ჩვენს ნალიაში უნდა გროვდებოდეს და არა ვიღაცა უსაქმურის სასიმინდეში. ეს ჩვენ, მუშა ხალხს გვესმის და უსამართლობათ მიგვაჩნია მიწის ასეთი უთანასწორო განაწილება. გარდა დასამუშავებელი საყანე მიწებისა ჩვენ არა გვაქვს არც ტყე, არც საძოვარი ალაგები. საზაფხულო საძოვარი მთავრობის ხელშია, საზამთრო კი კერძო კაცების საკუთრებას შეადგენს და ორივენი თავთავის დროზე ტყავს ჩვენ გვაძრობენ. მათის საბალახოთი ჩვენი საზოგადოება მხოლოთ თვე ნახევარს სარგებლობს და ამ მოკლე ვადაში მთავრობა, ე. ი. ხაზინა, 500 მანეთ ბაჟს გვახდიებს. სახაზინო ტყეშიაც არა ნაკლები ზორი გვადგას. იქ ხეები ლპება, ჩვენ კი შეშას ვყიდულობთ. პატარა წკნელის მოჭრისათვის შტრაფი და შტრაფი. ყველა ესეც ჩვენ უსამართლობათ მიგვაჩნია. განა ტყე ვისიმე შრომის ნაყოფია, განა საბალახო ვისიმე დანათესი და ოფლით დანასვენებია? და აი, სრულიათ უშრომლათ სარგებლობს ხაზინა და მემამულეები, ჩვენ კი ჩვენი ნაშრომი და ნატანჯვიც არავინ შეგვარჩინა.

აი ჩვენ ვთხოულობთ, რომ თუ ყოველივე ეს უსამართლო გადასახადი სრულიად მოსპობილი არ იქნება, იმდენათ მაინც შემცირდეს, რომ ჩვენი ცხოვრებაც შესაძლებელი დარჩეს. ისიც საკმარისია, რა უსამართლობაც დღემდე ვითმინეთ.

აი კიდევ რა მოგახსენოთ. პოლიცია ჩვენი მეგობარ-კეთილის-მყოფელი არასოდეს არ ყოფილა. როდესაც პურსა ვთხოვდით ქვას გვაძლევდა, ხოლო შემწეობის მაგიერათ მათრახებით გვიმასპინძლდებოდა; მით უმეტეს ამ ბოლო დროს დავკარგეთ ჩვენ ყოველგვარი ნდობა მთავრობის მიმართ. ჩვენ ვიცით, რომ გაჭირვებული მუშა ხალხი იმისგან არაფერ კეთილს არ უნდა გამოელოდეს, ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია მემამულეებთან და ხაზინასთან მოსალაპარაკებლათ შედგეს საზოგადოების მიერ არჩეული საგლეხო კომიტეტი და ამ კომიტეტმა იკისროს ჩვენი საქმეების მოწესრიგება. ამას მარტო ჩვენ, ბასილეთელი გლეხები კი არ ვთხოულობთ, ამას თხოულობს მთელი რუსეთის გლეხკაცობა და მუშები.

აიღეთ ახლა სახემწიფო მიწები. მარტო ტყეები კი არა აქვს ხაზინას, სახნავი მიწაც ბევრი აქვს. ამ მიწაშიც ბევრ ბაჟს გვახდიებს ხაზინა; გარდა ამისა, ბევრი გლეხი სახელმწიფო მიწაზე ცხოვრობს და სახაზინო გლეხათ ითვლება. მუშაობს ამ ადგილზე, იხდის ბაჟს მიწისას, იხდის ათას სხვა გადასახადს ხაზინის სასარგებლოთ და თუ დაჭირდა ამ მიწის დაგირავება ან გაყიდვა რაიმე საჭიროებისათვის, არ შეუძლია. ამისათვის ჩვენ, ბასილეთის საზოგადოების მცხოვრებნი სხვებთან ერთათ ვთხოულობთ, ის ნაჭრები სახაზინო მიწისა, რომლითაც სახელმწიფო გლეხი სარგებლობს, მის კერძო საკუთრებათ იქნეს აღიარებული. გარდა ამისა ძალიან ხშირია ადგილებზე დავა. ზოგიერთ გლეხს რამოდენიმეჯერ აქვს ნაყიდი მიწა და გამოჯვნის დროს მოდის ვიღაც აზნაური და დავას აცხადებს: ეგ ჩემი არისო, ყველა ეს და ათასი ამგვარები გლეხი კაცის ცხოვრებას შეეძლებლათ ხდის. ან კი რა უნდა გაარიგო ისეთი ნაწეკვი მიწით, რომელზედაც ძროხა რომ დაბა კუდი სხვის ადგილში ექნება და თავი მეორესაში. ამას დაუმატეთ ათას გვარი გადასახადი—სახელმწიფო და სასოფლო. განა შეიძლება არაფერის მქონე გლეხ-კაცმა იმ უზომო ხარჯს, რომელსაც ჩვენი გაუმაძღარი მთავრობა ყლაპავს, ყოველთვინ გაუძლოს? ვერა, ბატონებო, ვერ გაუძლო. აბა ერთი მიბრძანეთ თქვენ: რამდენი მანეთი შემოსავალი დაეკმაყოფილებს ისეთ ოჯახს სადაც შვიდი სული სარჩენია?

მთავრ. წარ. ეს ცხოვრებას გაარჩია, რა თქმა უნდა.

ხალხ. წარ. ჩვენ არ ვამბობთ შვენიერ, თუნდა მაძღარ ცხოვრებას, აი ნახევართ მშიერი რომ იყვენ.

მთავრ. წარ. ასე შეიძლება 500 მანეთი დარჩეს საკმაო.

ხალხ. წარ. ჩვენც აი რას მოვითხოვთ: თუ რომ 500 მანეთი საჭირო არის ოჯახი ნახევართ მშიერი აცხოვროს, მაშ ვისაც შემოსავალი ამაზე, ე. ი. 500 მანეთზე ნაკლები ექნება, ის განთავისუფლდეს ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისაგან. ხოლო იმათ, ვისაც შემოსავალი მეტი ექნება, იხადოს გადასახადი შემოსავლის დაკვალათ; ე. ი. მეტი შემოსავალი ვისაც ექნება, მეტი გადასახადიც იმან გადაიხადოს. სამართლიანი აი ეს იქნება, თუ არა ახლა მეტს ის იხდის, ვისაც ნაკლები აქვს და ვინც მუდამ შრომობს, ხოლო ისინი ვინც ყელამდე ფულში სხედან და ხელს არ ანძრევენ, თითქმის არაფერს არ იხდიან. აი ჩვენ ამას ვთხოულობთ და უნდა

აგვისრულდეს ეს მოთხოვნილება: ხუთას მანეთზე ნაკლები შემოსავალი ვისაც აქვს, ის სრულიად განთავისუფლდეს ყოველგვარი გადასახადისაგან.

ახლა ქვევით აი რას მოგახსენებთ: საზოგადოებაში არიან ეგრეთ წოდებული თავდაუხსნელი გლეხები. თავდაუხსნელი გლეხი იგივე ყმა არის. ვისგან უნდა დაიხსნას ან რატომ უნდა დაიხსნას მან თავი? ის ერთი ციდა მამული, რომელსაც უხსოვარი დროიდან ამუშავებს, რატომ უნდა გამოიყიდოს? ეს ცხადი უსამართლობაა და ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყველა თავდაუხსნელი გლეხი განთავისუფლებულ იქნას თავისი მიწიანათ უფასოთ. ის კი არა, ჩვენ მოვითხოვთ, რომ ის ფული, რომელიც თავდახსნილ გლეხებს უსამართლოთ გამოგლიჯეს ხელიდან, როგორც უკანონოთ წაღებული უკანვე დაუბრუნდეთ. რისთვის უნდა გამოეყიდა საცოდავ გლეხს ნასესხები ფულით ის მიწა, რომელიც მის ნამდვილ საკუთრებას შეადგენდა?

ჩვენ მოვითხოვთ, რომ სახაზინო, საეკლესიო და საუფლისწულო მიწები გლეხთა საკუთრებათ იქნას აღიარებული.

მთავრ. წარ. სახაზინო მიწების დარიგება უკვე დაწყებულია კავკასიის ზოგიერთ გუბერნიებში და მაშასადამე საჭიროა მისი დაჩქარება.

ხალხ. წარ. ახლა მოგახსენებთ ბაჟების შესახებ. ჩვენ არ გვაკმარეს მარტო ის უზომო გადასახადი, რომელსაც პირდაპირი გადასახადის სახელით ვიხდით. ყველა ჩვენთვის აუცილებლათ საჭირო ნივთს ბაჟი აძევს. ავიღოთ თუნდა ნავთი, რომელიც ყველა ოჯახში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ბაქოში ამოღებული ნავთი საცხა, ცხრა მთას იქით, ინგლისში მიტანილი თურმე უფრო იაფათ ფასობს, ვინემ აგერ ეზოში. ეს იმიტომ, რომ ზეთ უშველებელი ბაჟი დაადევს: საჭიროა და იყიდიან აბა რას იზამენო! ასევეა თურმე ჩვენ შაქარზე. სხვა ქვეყანაში ჩვენგან წაღებული შაქარი თურმე სამჯერ უფრო იაფი ღირს. ახლა ავიღოთ არყის ბაჟი. აი ჩვენი ადგსა ღვინოთ არ ვარგა. მეტი ჩვენ არაფერი მოგვდის და იძულებული ვიყავით არაყათ გვეხადა. აქაც დაგვიგო მთავრობამ მახე და უმატა არყის ბაჟს. ბოლოს იმ ზომამდე ასწია, რომ ანგარიშით არაყის გამომხდელი ზარალში რჩება და იმის დასაფარავათ რამე სხვა უნდა გაყიდოს. ნუ თუ ესეც სამართალია? ნუ თუ ჩვენ არ უნდა შეგვეძლოს იმ მიწის ნაყოფით ვისარგებლოთ, რომელშიაც ასეთ უზომო გადასახადს ვიხდით? ხს ხომ ჩვენი მიწის და ჩვენი საკუთარი შრომის ნაყოფია! ჩვენ ვთხოულობთ ბაჟების მოსპობას; ვთხოულობთ ყველა ფარული გადასახადების მოსპობას.

მთავრ. წარ. არაყზე ბაჟის მოსპობა, კერძოთ და დროებით მარტო გურიაში შესაძლებელია ვიშვამდგომლოთ.

ხალხის წარ. ჩვენ კერძოს არაფერს არ ვთხოულობთ. ჩვენსავით გაჭირვებულია ასი მილიონი რუსეთის ხალხი. ჩვენი მოთხოვნილება არის სამართლიანი და ამისთვის არ გვეშინია არავისი. გარდა ამისა ჩვენი საზოგადოება აგერ ათი წელიწადია წლიურათ 200 მანეთ ფულს იხდის, რაღაც მალაზიის ფულიაო. შარშან ჩვენში ფუთი სიმინდი მანათ ნახევარი ღირდა; ვითხოვეთ შემწეობა და კაცმა ყურადღება არ მოგვაქცია. რა იქნა ეს ორი ათასი მანეთი? უთუოთ შეჭამეს ვინმე მოხელეებმა. ჩვენი ფული ჩვენ მაშინ გვინდა, როცა დაგვჭირდება. (აქ ერთმა დეპუტატმა ასწერა ის სცენა, თუ როგორ უდიერათ მოექცა მას გუბერნატორი ხიდისთავში ყოფნის დროს. მომვარდა, ეს მენდლები დამაგლიჯა და მიწაზე დაყარა, მეც თითონ შეურაცყოფა მომაყენა. ყველანი დალანძღა და ციმბირში გადასახლება დაპირდა: ამაზე მაშინ ბევრი კაცი დაიჭირეს; ზოგი გადაასახლეს, ზოგი ციხეში ჩაამწყვდიეს).

არა ნაკლებ სტანჯავენ ხალხს სასულიერო პირები: მღვდლები, ბერები. მათი ხელობა ცარცვა-გლეჯა და ფარისევლობა არის. ჩვენ კარგათ ვხედავთ, რომ ისინი მხოლოთ მონობას და მორჩილებას გვიქადაგებენ. გვიჩივიან ზეცისკენ იქცირეთო და თითონ კი ჯიბეში გვიძვრებიან. ვიცით, რომ ისინი უსასყიდლოთ სიტყვას არ მოაბრუნებენ, მუდამ იმას გაიძახიან: ფული, ფული და ფულიო. ჩვენ ვარს ვყოფთ ყოველგვარ ხარჯს მღვდლების შესანახათ და მოვითხოვთ ეკლესიის განკალკევებას სახელმწიფოსაგან, ესე იგი მღვდელი იმან შეინახოს, ვისაც იმისი ლოცვა-კურთხევა სჭირია. აგრეთვე ჩვენ მოვითხოვთ, რომ მღვდელებს ჩამოერთვას უფლება სკოლების გახსნისა. ერთი სიტყვით აღზრდის საქმეში მღვდელი მონაწილეობას არ ურნდა იღებდეს, რადგანაც ის თავის აზრებით აბნელებს ბავშვის ნათელ გონებას. ღმერთს ის უნდა, რომ ჩვენი სული და გული იყოს წმინდა. ჩვენი სინდისის სიწმინდე კი ჩვენი საკუთარი საქმეა და ამიტომ ადამიანის სინდისი თავისუფალი უნდა იყოს.

ახლა მოგახსენებთ სწავლის საჭიროებაზე. ჩვენში ახლა ყველამ იცის, რომ სწავლა საჭიროა. ის ისე საჭიროა, როგორც ჰაერი, წყალი და პური. უსწავლელი კაცი ახლანდელ ცხოვრებაში გამოუსადეგარია. სწავლა ერთგვარი და ძლიერ საჭირო იარაღია. ჩვენთვის კი სწავლა ხელ მიუწდომელია. ახლანდელი მთავრობა განგებ ცდილობს ჩვენი გონება ბნელი იყოს, თვარა რა იყო მიზეზი, როცა სამოქალაქო კლასის გახსნა ვითხოვეთ ჩვენი ხარჯით და ნება არ მოგვცეს? ხაზინას ჩვენ თითქმის არაფერს არ ვთხოვდით, მარა მთავრობამ მაინც არ მოგვცა ნება სასწავლებელი გაგვეღო, თქვენ სწავლა გაწყენთო. ახლა მოვითხოვთ, რომ ჩვენშიაც ისე მოეწყოს საქმე, რავარც სხვაგან არის, ე. ი. თექვსმეტ წლამდი სწავლა უფასო და სავალდებულო იყოს ორივე სქესისათვის წოდების და ეროვნების განურჩევლათ. ამას გარდა საშუალო და უმაღლესი სწავლაც რომ ხელ-მისაწდომი იყოს ყველასათვის.

გარდა ამისა ჩვენ გლეხ-კაცებს და მუშებს არა გვაქვს უფლება ერთათ თავი შევიყაროთ და ჩვენ გასაჭირზე ვილაპარაკოთ. ასეთი ყრილობა აკრძალულია. რატომ არ უნდა გვქონდეს ჩვენ უფლება ჩვენ გასაჭირზე ლაპარაკისა? დღეს ეს შემთხვევითია, თორემ სხვა დროს ათ კაცს არ გაგვაჩერებდენ ერთათ. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ ჩვენ გასაჭირზე მოსალაპარაკებლათ თავისუფლათ შეკრების ნებას, ე. ი. კრების თავისუფლებას.

თუ რომ თავი შევიყარეთ, მაშინვე დაგვერევიან სტრაჟები და კაზაკები ხმლებითა და მათრახებით. ჯერ ჩვენა გვცემენ, მერე ბინას აგვიწიოკებენ და ვინ იცის კიდევ რას არ ჩაიდენენ. ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი პიროვნება და ბინა ხელ შეუხებელი იყოს.

არამც თუ ჩვენ გვიშლიან ლაპარაკს ჩვენს გასაჭირზე, სხვებს წერასაც არ ანებებენ და გაზეთებში ჩვენი ცხოვრების ჭირ-ვარამზე სიტყვაც არ არის. ამბობენ—ნება არა გვაქვს ამ საგანს შევეხოთო. რატომ არ უნდა იწერებოდეს წიგნებში ნამდვილი ამბავი? ჩვენ მოვითხოვთ, რომ ბეჭდვის თავისუფლება იყოს და ჩვენ გასაჭირზე სინამდვილე დაიწეროს. ჩვენ აკრძალული გვაქვს გაფიცვა. მივეცით ერთმანეთს სიტყვა: „სხვის მამულში ძველი პირობებით არ ვიმუშაოთო!“ ჩამოგვერია პოლიცია და ძალა იხმარა, რომ ჩვენი არ გაგვეტანა და ცოტათი ჩვენი ცხოვრება არ გაგვეუმჯობესებია. ამიტომ მოვითხოვთ გაფიცვის თავისუფლებას.

ბევრი ჩვენი ამხანაგის სისხლი დაიღვარა აქ ამ საზოგადოებაში ხალხის ინტერესების დაცვისათვის. უფრო მეტი ციხეში ხის და ზოგიც გადასახლებულია. ჩვენ ზიზღსა გვგვრ-

ის პოლიციის ამგვარი საქციელი და მოვითხოვთ ყველა ადმინისტატიული წესით დასჯილი ჩვენი ამხანაგი განთავისუფლებულ იქნას, როგორც უკანონოთ დასჯილი.

ჩვენს ხალხს მძიმე უღლათ აწევს კისერზე სალდათობის უღელი. ახალგაზრდა ჯანსაღ ყმაწვილ კაცებს აცლიან ოჯახს და ამწყვდევენ ოთხი წლით ყაზარმებში. შინ რჩება მარტო სნეული და მოხუცებული, ეს მუშა ხელი ხომ ეკარგება და ეკარგება ოჯახს; ამას გარდა ის კიდევ სარჩენათ აწევს მას კისერზე. თითქმის ყველა ოჯახს უჯდება სალდათის შენახვა წლიურათ 600—120 მანეთამდე. სადა აქვს ისედაც გაღატაკებულ ხალხს ამის შეძლება?! ის სესხულობს ფულს ჩარჩებიდან და ამით კიდევ უფრო-და-უფრო ვალიანდება, ეს კიდევ არაფერი. ჩვენ გვეგონა, რომ ჯარი ჩვენს დასაფარავათ იყო გამოყვანილი, გვეგონა რომ ჩვენ შვილებს, რომელსაც ჩვენ ჩვენივე ხარჯით ვინახავთ ჩვენს მტრებთან აბრძოლებდენ, მარა თურმე საქმე სხვანაირათ ყოფილა. სახელმწიფოს მტრები ჩვენვე ვყოფილვართ და აი ჩვენი შვილები ჩვენვე შემოგვისიეს. ჩვენმა შვილებმა და ძმებმა ჩვენი სისხლი უნდა დაღვარონ ისე, როგორც პეტერბურგის ქუჩებზე დაღვარეს თავისი ძმების სისხლი და როგორც ყველგან სხვაგან ღვრიან!!? ჩვენ უსამართლოთ მიგვაჩნია ასეთი საქმე და მოვითხოვთ, რომ მუდმივი ჯარი მოსპობილ იქნას და თუ საჭირო იქნება მტრის მოგერება ყველანი მზათ ვიქნებით უკანასკნელი სისხლის წვეთამდის ვიბრძოლოთ.

მთავრ. წარ. ომისა და ჯარის მოსპობა კაცობრიობის იდეალია, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია.

ხალხ. წარ. ჩვენ ვთხოულობთ წოდებების მოსპობას, და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობას. უნდა იყოს მხოლოთ მოქალაქე და არა ვინმე განსაკუთრებული წოდება.

ვის შეუძლია აგვისრულოს ყველა ჩვენი მოთხოვნილება? ნუ თუ იმ მთავრობას, რომელიც ჩვენ ყოველი მხრიდან გვავიწროებს და რომელმაც დაკარგა ჩვენი ნდობა? არა. მას არ შეუძლია ჩვენი პატრონობა!.. ჩვენ თავს ისევ ჩვენ უნდა ვეპატრონოთ. ამისათვის ჩვენ მოვითხოვთ მოწოდებულ იქმნას დამფუძნებელი კრება ხალხისგან არჩეულ დეპუტატების. ყველა მოქალაქეს, ეროვნების, წოდების და სქესის განურჩევლათ უფლება უნდა ქონდეს წარმომადგენლების არჩევანში მონაწილეობა მიიღოს. დაფარული და საყოველთაო კენჭის ყრით ხალხმა უნდა ამოირჩიოს თავისი მთავრობა, რომელსაც ნდობასაც გამოუცხადებს და რომელიც იმისს ინტერესებს ემსახურება. მაშასადამე ჩვენ ვთხოულობთ დამფუძნებელ კრების მოწვევას.

ჩვენ არ გვაქვს სამართალი; ამაზე წინეთ ვთქვით და ახლა ისევ დაუბრუნდებით—ჩვენი დღევანდელი სამართალი აშენებულია უსამართლობაზე. ვისაც შეძლება აქვს სამართალი იყიდოს, ის ყოველთვინ მართალი გამოდის და ამის საშვალება კი მდიდრებს აქვთ. ღარიბი და გაჭირვებული ყოველთვინ მტყუანი გამოდის. გარდა იმისა, რომ ჩვენი სამართალი მეკრთამეობაზეა აშენებული, საქმის დაბოლოებასაც ხომ ალარ აღირსებენ კაცს! სულ უბრალო საქმე რამოდენიმე წლობით გრძელდება. მოხელეები ღარიბს ამტყუნებენ, მაგრამ ქრთამს ორივესაგან იღებენ. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ ნაფიც მსაჯულების შემოღებას, რომლებსაც უნდა ირჩევდეს ხალხი საყოველთაო თანასწორი და ფარული კენჭის ყრით. ყოველივე მოსამართლე და საზოგადოთ ყველა სხვა მოხელე ხალხს უნდა აძლევდეს თავის მოქმედებაში ანგარიშს!

დალამდა და კრება დაიშალა. მეორე დღეს, 25 თებერვალს, ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი ასკანის საზოგადოებაში გაემგზავრა. 26 კი ისევ ხიდისთავში დაბრუნდა.

ამ დღეს სხვათა შორის სულთან-კრიმ-გიერის ხალხის წარმომადგენლებმა მოახსენეს: რამოდენიმე ხიდისთაველი ჩოხატაურისაკენ გაემართა იქაურებთან ერთათ ყანების შესახებ მოსალაპარაკებლათ. გზაში, თხრილებში ჩასაფრული დახვდათ სტრაჟნიკები, რომლებმაც უეცრათ თოფის სროლა ასტეხეს და ორი კაცი წუთის სოფელს გამოასალმეს... ესეც არ იკმარეს და გაფანტულ ხალხს მათრახით ზურგზე ბოლი ადინეს...

მოკლულების დასაფლავების ნებაც არ მოგვცეს ხალხს. საფლავი საბრალო ცოლმა გაუთხარა თავის ხელით. ესეც არ აკმარეს საზოგადოებას—ჩამოგვიყენეს სახლში ჯარი, რომელმაც დააქცია ჩვენი ოჯახი. ვინ მოსთვლის იმათ სისაძაგლეს და სიმხეცეს, ეს კაზაკები რომ არიან!! იპარავდენ ქათმებს, ღვინოს და სხვა ნივთებს. მათ თავ-გასულობას საზღვარი არა ქონდა. სალდათები ცოტა უფრო კაცურათ იქცეოდენ. მერე რით დევიმსახურეთ ჩვენ ასეთი სასჯელი? იმით, რომ ჩვენი გასაჭირი გამოვაცხადეთ?!

შემდეგ ილაპარაკეს სამოქალაქო სასწავლებლის შესახებ. საზოგადოებამ ითხოვა ექვს კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი, მარა ნება არ მიცა მთავრობამ, მიუხედავათ იმისა, რომ საზოგადოება თავისი ხარჯით კისრულობდა ყველაფერს. აგრეთვე ბიბლიოთეკის დახურვის შესახებაც ბევრი ილაპარაკეს.

როგორც დასმატკიცებელი საბუთი პოლიციის ყაჩაღობისა, მოიყვანეს ბესარიონ გოგიბერიძის სიკვდილი. ეს ახალგაზრდა და ყველასაგან საყვარელი ყმაწვილი (18—19 წლისა) მოკლა შუადღეზე აზნაურმა ფირან გოგიბერიძემ, ეს იცის მთელმა საზოგადოებამ და იცის აგრეთვე პოლიციამაც. მაგრამ მკვლელი თავისი შვილით ერთათ ჯერაც ხელ უხლებელია. პირ-იქით იმას მისცეს იარაღი და მიუჩინეს სახელმწიფოს ყარაული. მოკლული ბესარიონ გოგიბერიძის ძმა, რომელმაც სამართალში გაწვევა დაუპირა მკვლელს, მთავრობამ ადმინისტრატიულ წესით რიაზანის გუბერნიაში გადაასახლა და ოჯახი გააცივა...

ეჰ! ვინ მოთვლის რამდენი უსამართლობა დატრიალებულა ჩვენ თავზე! ვინ მოთვლის ჩვენ გაჭირვებას, ჩვენ შევიწროებასო, დაამთავრეს ხალხის წარმომადგენლებმა!...

ნ. გ—ძე.

როგორც გურიიდან იწერებიან, ბ-ნ სულთან კრიმ-გირეის შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე: 1, გურიაში ადმინისტრაციის მიერ დანიშნული მამასახლისები გადააყენონ და ხალხს თავისუფალ არჩევის უფლება მიცენ; 2, ადმინისტრაციის განკარგულებით დაკეტილი ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, რიცხვით თორმეტი, გაალონ; და 3, 1902 წლიდან ადმინისტრატიული წესით გადასახლებულნი გაათავისუფლონ და უკან დააბრუნონ.

იქიდანვე იტყობინებიან: გურიის სოფლის საზოგადოებამ ერთხმათ გამოუცხადა სულთან კრიმ-გირეის, რომ ჯარის ჩაყენების გამო მშვიდობიანათ მუშაობა შეუძლებელია და ამიტომ ვთხოულობთ გურიიდან ჯარი დაუყონებლივ გაიყვანონო. სულთან კრიმ-გირეიმ ამის შესახებ გაგზავნა შუამდგომლობა მთავარმართებლის მოადგილესთან.

Дозволено цензорою. Тифлисъ, 3-го марта 1905 г.

ელექტრომბეჭდავი თავ. გრ. ნ. დიასამიძისა, სასახლის ქ.